პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს ს რ
ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველი პრ. № 26,
ტელეფონი 5-48.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 213 კვირა, 16 სექტემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250.000 მ. ნ. № 213

დღიური

— ისპანიაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. ძალაუფლება დირექტორიის ხელში გადავიდა.

— გერმანიის ზოგიერთ ადგილებში სიმშილობის ნიადაგზე არეულობა ხდება.

— რომის გაზეთების ცნობით [illegible] უშუალო მოლაპარაკებას გამართავენ [illegible]

— ახლო ხანში განახლდება მოლაპარაკება [illegible] რსა და იაპონიას შორის.

ს. ა. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი
აცხადებს, რომ კომკავშირის

სრულიად საქართველოს მე-6 ყრილობის გახსნა

დანიშნულია

დღეს, 16 სექტემბერს,

დილის 9 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში.

ს. ა. კ. კ. ცეკას მდივანი: გ. დევდარიანი.

ორშაბათს, 17 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე
სახალხო სახლში შესდგება

ტფილისის საბჭოს სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სახალხო განათლების განყოფილების. მომხსენებელია ამხ. ქაცარავა.
2. ფინანსიური მდგომარეობა ტფილისის აღმასკომის. მომხსენებელია ამხ. მესხი.
3. მიმდინარე საქმეები.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

610 2—2 პრეზიდიუმი.

კომკავშირის ყრილობა

დღეს გაიხსნება სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყრილობა.

ყრილობა გაარკვევს რევოლიუციონურ ახალგაზრდობის წინაშე დღევანდელი სინამდვილის მიერ წამოყენებულ ამოცანებს და გაარკვევს გზებს და საშუალებებს მათ გასატარებლად ცხოვრებაში.

ჩვენ უკვე რამოდენიმე წელიწადია ვცხოვრობთ მშვიდობიანი აღმშენებლობის პირობებში ჩვენ უკან დავტოვეთ ის დრო, როცა ნორჩ რევოლიუციონურ თაობას მის უფროს ძმასთან, ხანში შესულ პროლეტარულ რაზმებთან ერთად, უხდებოდა თავგანწირული ბრძოლა ძველ რეჟიმთან თავისუფლების მოსაპოვებლად და ძალაუფლების დასაპყრობად წარსულს ეკუთვნის ის დრო, როცა კომუნისტურ ახალგაზრდობას მხოლოდ ფარულად, ბნელ ჯურღმულებში შეეძლო თავმოყრა, ყრილობის მოწვევა საპირბოროტო საკითხების გადასაჭრელად. მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგ, რისათვის ჩვენს რევოლიუციონურ ახალგაზრდობას საკმაოდ მსხვერპლი აქვს გაღებული, მას მიეცა ფართე გასაქანი თავისუფალი მუშაობისათვის, შემოქმედებითი ენერგიის გასაშლელად.

ასეთ ახალ პირობებში კომუნისტური ახალგაზრდობა უკვე მესამედ იწვევს თავის ყრილობას.

რა თქმა უნდა, ახალი პირობების მიხედვით, შეიცვალა მისი ამოცანები და მიზნები.

წინედ მისი მთავარი საქმე იყო დანგრევა ძველი წყობილების; ამასთან მაშინ მას საშვალება არ ჰქონდა თვითგანვითარების და კულტურული მუშაობის გასაჩაღებლად.

დღეს ის ამტკიცებს საბჭოთა ძალაუფლებას და ამავე დროს ეწაფება სწავლას, ცოდნის შეძენას, კლასობრივ შეგნების ამაღლებას, რათა უფრო მომზადებული და შეიარაღებული ემსახუროს რევოლიუციის გამარჯვებას, ცხოვრების გარდაქმნას ახალ საფუძვლებზე.

სწავლება ისევ რჩება ჩვენი ახალგაზრდობის მთავარ ლოზუნგად მიმდინარე პერიოდში.

უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ამოცანის შესრულება ფრიად მძიმე საქმეა.

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა მარტო „წმინდა“ მეცნიერული ცოდნის შეძენა, არამედ მარქსისტული აღზრდა, კომუნისტური კულტურის გავრცელება და განმტკიცება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა საფრთხეს გვიმზადებს არა მარტო ეკონომიურ დარგში, არამედ იდეოლოგიურ სფეროშიც. წვრილი ბურჟუაზიული სტიქიის ტალღები მძლავრად ეხეთქება ჩვენს რიგებს. მისთვის უფრო მისაწვდომი ხდება ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის რევოლიუციონურ მარქსიზმის დარჯაკში საკმაოდ გამოვლილი.

და დღევანდელი ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა მოეკიდოს ახალგაზრდათა შორის მარქსისტულ კლასობრივ შემეცნების გაღრმავებას.

და ეს მუშაობა კომკავშირმა უნდა აწარმოოს არა მარტო თავის წევრებ შორის. მთელი უპარტიო მშრომელი ახალგაზრდობა უნდა მოექცეს მის იდეურ და ორგანიზაციულ გავლენის სფეროში. უნდა ითქვას, რომ კომკავშირმა ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა. ის მეთაური და ხელმძღვანელი გახდა მთელი საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის, რომელიც მას მიჰყვება და აღიარებს მის ჰეგემონიას.

მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

კერძოდ ჩვენ გვინდა ავღნიშნოთ ერთი გარემოება. ამ ჟამად ხდება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ დაშლა. მათ უარყვეს თავიანთი ორგანიზაციები და კომკავშირისკენ იბრუნეს პირი. მაგრამ, ცხადია, რომ „ახალგაზრდა მარქსისტები“ ერთბაშად ვერ განთავისუფლდებოდნენ იმ თავითვე შეთვისებული ოპორტიუნისტულ-ნაციონალისტურ შემეცნებიდან კომკავშირს დასჭირდება მათ შორის ფრთხილი სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის წარმოება.

საერთოდ მან უნდა გამოიმუშაოს იდეურ მუშაობის ისეთი ფორმები და საშუალებები, რომელნიც უფრო შესაფერი გამოსადეგი იქნებიან ამა თუ იმ წრისა და მდგომარეობისათვის.

მაგ. სხვანაირად უნდა მიუდგეთ სოფლის ახალგაზრდობას, სხვანაირად ფაბრიკა-ქარხნების ახალგაზრდა მუშებს, სხვანაირად ვაწარმოოთ მუშაობა წითელ ჯარში და წვევამდელთა შორის; აგრეთვე ქალთა შორის და სხ.

ყველა ამისათვის საჭიროა სააგიტაციო-საპროპაგანდო და ორგანიზაციული ფორმების და საშუალებათა დაწვრილებით გამომუშავება.

იდეურ მუშაობის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობისათვის ეკონომიურ საკითხს. ერთი მხრივ—ბრძოლა უმუშევრობასთან, რომელიც საგრძნობლადაა გავრცელებული ახალგაზრდობის შორისაც, მეორე მხრივ ზრუნვა მათი ნივთიერი დონის ასაწევად, და ამ მიზნით შეთანხმებული მუშაობა სათანადო ორგანოებთან,—უნდა შეადგენდეს კომკავშირის ერთ-ერთ მთავარ ამოცანათაგანს.

ბევრი კითხვები დგას ყრილობის წინაშე, რომელნიც მოითხოვენ დაწვრილებითი განხილვას. მათი მიზანშეწონილი გადასაჭრელად საკმაო გამოცდილება და მასალაა შეგროვილი, და ეჭვი არ არის, რომ ყრილობა თავს გაართმევს იმ ამოცანებს, რომლებსაც აყენებს დღევანდელი სინამდვილე კომუნისტური ახალგაზრდობის წინაშე.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შესახებ

ჩვენი სახალხო მეურნეობის, და კერძოდ მრეწველობის აღორძინება და განვითარება ეკონომიური ორგანიზაციებისა და ჩვენი გაერთიანებულ წარმოებათა წინაშე მთელ რიგ პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებს სვამს. ამ საკითხების გადაჭრა და ცხოვრებაში გატარება უახლოესი ამოცანა არის ყველა იმ ორგანიზაციებისა, რომელნიც პირდაპირ და უშუალოდ დაინტერესებულნი არიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძალღონის გამაგრებაში. ერთი უდიდესი საკითხთაგანი, რომელიც ახლოს სდგას ჩვენი მრეწველობის ინტერესებთან ამ ჟამად,—შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხია.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხი უკვე კარგა ხანია წამოჭრილი არის თანამედროვე მრეწველობის წინაშე. ინდუსტრიის თანამედროვე საწარმოო მასშტაბით განვითარებასთან ერთად ეს საკითხიც მწიფდებოდა. აქამდე, თუ კი პრაქტიკა ყოველივე ტრადიციულობას უარყოფდა მუშაობის მეთოდებში, ახლა უკვე დღის საკითხათ გადაიქცა სამრეწველო დაწესებულებათა ორგანიზაციის ახალ საფუძვლებზე აგება. შრომის განაწილება, რომელიც ასე ფართოდ ახასიათებს თანამედროვე სახალხო მეურნეობას, კიდევ უფრო განვითარდა და ფართო სპეციალიზაციამდე მივიდა. მრეწველობის განვითარებამ ორი მძლავრი მიმართულება მიიღო: წარმოების ფარგლების გაშლა, ტენდენცია მსხვილი წარმოებისაკენ და წარმოების ტემპის აჩქარება. ამ ტენდენციებისათვის ანგარიში უნდა გაეწიათ მათ, ვინც დაინტერესებულნი იყვნენ წარმოების სიმძლავრესა და ნაყოფიერებაში. და მართლაც, ასეთი ტენდენციების ევოლიუციამ ფართოდ წამოაყენა შრომის, ორგანიზაციის და ტეხნიკური მოწყობილების რაციონალიზაციის საკითხები.

მუშაობის მექანიზაციამ მუშა დამთავრებულ საქონლის შესრულებას ჩამოაცილა; ის ბოლოდ ერთ-ერთ ჯაჭვს შეადგენს ამ მთელ რიგ ოპერაციებში, რომელნიც პროდუქტის დამზადების მიზნით არიან წარმოებულნი. მუშის შრომა ნაწილობრივ კომბინაციებით შექმნილ ოპერაციას წარმოადგენს და მან ხშირად არც იცის, სად იწყება ამ ოპერაციების თავი და სად უნდა დასრულდეს იგი.

წარმოების ფარგლების ზრდა ართულებს მმართველობის ამოცანებსაც მასალებისა და სამუშაოების წესრიგში მოყვანა და აღნუსხვა, ყიდვისა და გასაღების ორგანიზაცია, ინსტრუქციების მიცემა მომუშავეთათვის, კონტროლი,—ყოველივე ეს რთულ და უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცევა მსხვილი წარმოების დროს. მაგრამ კიდევ უფრო თავისებურად ვითარდება წარმოება საწარმოო პერიოდის შემცირებით და მისი რაციონალიზაციით. თუ კი აქამდე წარმოების გადიდება იყო იმისთვის საჭირო, რომ დამზადებულ პროდუქტთა რიცხვი გამრავლებულიყო, ამ ჟამად უკვე ამ მიზნის მიღწევა წარმოების აჩქარებული ტემპის საშვალებით ხდება შესაძლებელი. მაგრამ ეს უკანასკნელი საშვალება აუცილებელს ხდის ფართო რაციონალიზაციის გატარებას, რადგან აქ უკვე იცვლება ხასიათი წარმოებისა და აუცილებელი ხდება მუშაობის რეორგანიზაცია. ეს რეორგანიზაცია კი სამუშაო ძალის ინტენსიურ გამოყენებაში მდგომარეობს, რომელიც ცვლის შრომის პირობებსა და მუშაობის ხერხებს.

წარმოების აჩქარებული ტემპისაკენ სწრაფვა თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი ტენდენციაა; კაპიტალების ბრუნვის აჩქარება და ამით საწარმოო ცირკულიაციის გზის შემოკლება—ის ფუძეა, რომელზეც არის აგებული თანამედროვე კაპიტალისტური საქმიანობა.

ამრიგად, წარმოების ტემპის აჩქარება და მისი ფარგლების ზრდა სამუშაო ძალის გამოყენებისათვის ახალ მეთოდებს მოითხოვს: კაპიტალისტური მეურნეობა იმთავითვე ისწრაფოდა მუშების შრომის ინტენსივობის გაძლიერებისაკენ, მაგრამ ასეთი ცდები ხშირად საწინააღმდეგო შედეგებს იძლეოდენ, რადგან მათ საფუძველს მუშების ძალღონის ექსპლოატაცია შეადგენდა და აგრეთვე გამოყენებული არ იყო აუცილებელ დამხმარე მეცნიერებ[illegible] ცოდნა და მეთოდი.

ჩვენს დროში ამავე მიზნისათვის ახალი სისტემები იქნა წამოყენებული, რომელნიც სამუშაო ძალის გამოყენების და მთელი ტეხნიკური მეურნეობის მიმართ მთელ რიგ რეფორმებს აძლევენ. წარმოების რაციონალიზაციის უადრესი ცდები ახალ ქვეყანას, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის, სადაც ყველაზე მძლავრად იჩინა თავი ამ ტენდენციამ; შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლოზუნგების სამშობლო-ამერიკაა. დაწყებული გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებიდან, აქ სისტემათა მთელი რიგი შეიქმნა, რომელნიც შემდეგ მეცნიერული ორგანიზაციას საფუძვლად დაედვენ. ფ. ტეილორი, გენრი ტაუნი, ხელსი, პარტრიჯი, როუენი, განტტი, ემერსონი, - ყველა ამათ სხვადასხვა სახისა და საშუალების სისტემები წარმოადგინეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი მათში ტეილორის გამოდგა, რომლის სისტემა მისივე სახელწოდებით შემდეგ ევროპის სამეცნიერო შრომებსაც დაედვა საფუძვლად ამ სისტემათა დალაგება და გარჩევა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს; მაგრამ უნდა ითქვას, რომ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის თანამედროვე იდეოლოგია ტეილორიზმს უკვე საკმაოდ დასცილდა. ეს გარემოებაც რომ არ არსებობდეს, ტეილორის სისტემა ჩვენთვის მაინც მიუღებელია, რადგან ის მასტიური გამოდგა, მას მუშათა და მწარმოებელთა ინტერესების ჰარმონიის აზრი უდევს საფუძვლად. ამას გარდა მასში საერთო მეთოდოლოგიური ნაკლიც არის და ის სრულებით არ უზრუნველყოფს მუშის ენერგიის შენახვასა და მის დაცვას.

შრომის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდები ახალ საშვალებებს ქმნიან წარმოების რაციონალიზაციისთვის. ფიზიოლოგიური, ფსიქოტეხნიკური და ორგანიზაციული გამოკვლევები მეცნიერული ორგანიზაციის საკითხს ფართო მასალებს აძლევს და ამისათვის სპეციალური ინსტიტუტები აწარმოებენ მუშაობას საბჭოთა რუსეთმა 1919 წლიდან დიდი ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და 1921 წელს შრომის ცენტრალური ინსტიტუტიც დაარსდა შრომის ფიზიოლოგიასა და ფსიქოტეხნიკაზე დამყარებით რუსეთში თავისებური განვითარების გზაზე დამდგარი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხი. მაგრამ როგორი უნდა იქნეს ჩვენი დამოკიდებულება მისდამი საქართველოს სინამდვილეში?

მრეწველობის განუვითარებლობის გამო ჩვენში წარმოების ორგანიზაციის საკითხი წამოჭრილი არ ყოფილა. ჩვენს წარმოებებში, რომელნიც თითზე არიან ჩამოსათვლელნი, მუშაობა განუვითარებელი და მარტივი მეთოდებით სწარმოებდა; შრომის ორგანიზაცია, მექანიზაცია და ავტომატიზმი, მასიური წარმოება, სტანდარტიზაცია, ყველა ეს საკითხები, რომელიც ასე მძლავრად აღუზებს თანამედროვე ინდუსტრიის, ჩვენში თითქმის უცნობიც არის. ამიტომ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის შესახებ თანამედროვე მსხვილი მრეწველობის მასშტაბით ლაპარაკი ჩვენში შეუძლებელიც არის.

მიუხედავათ ამისა, არ შეიძლება უყურადღებოთ იქნან დატოვებულნი ის საკითხები, რომელნიც თანამედროვე წარმოების სასიცოცხლო ინტერესებს შეიცავენ. შრომის პირობების და შრომის ორგანიზაციის საკითხების შესწავლა და გამოკვლევა აუცილებლადაა საჭირო იმისათვის, რათა ჩვენს წარმოებებში შრომა ისეთ პირობებში იქნას ჩაყენებული, რომ წარმოებისა და მუშათა ინტერესები სავსებით დაცული იქნენ. საამისო ორგანიზაცია ჩვენში უკვე დაარსებულია და მუშაობაც დაწყებულია. მთელი ჩვენი მეცნიერული მუშაობა და პრაქტიკული ღონისძიება იქით უნდა იქნას მიმართული, რათა ჩვენი წარმოების ეკონომიურ-კომერციული გამოჩინება და შრომის პირობების რაციონალიზაცია ჰარმონიულად ვითარდებოდეს მუშათა კლასის მატერიალურ და ფიზიკურ კეთილდღეობისათვის.

ზ.

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება.

ასეთი საზოგადოება რუსეთში კარგა ხანია, რაც არსებობს და აწარმოებს დიდ მუშაობას. ჩვენში ამ მხრივ მხოლოდ რამოდენიმე ნაბიჯი იყო გადადგმული. ეხლა კი ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ დაადგინა დააარსოს პირველი იაჩეიკა რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოების ტფილისში და გამოყოს სათანადო რწმუნებულები პროვინციაშიაც ამ მხრივ მუშაობის საწარმოებლად. ეს დადგენილება ღირსია ყურადღებისა. საჭიროა ყველას ესმოდეს მისი მნიშვნელობა. რა მიზნები აქვს დასახული ასეთ საზოგადოებას? უპირველესად ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ორგანიზაცია არის საერთაშორისო ორგანიზაცია. ყველა ქვეყნებში აქვს მას თავისი განყოფილებები. ამ ორგანიზაციას აქვს დაკისრებული ფრიად სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა.

პროლეტარულმა რევოლიუციამ ჯერ-ჯერობით გაანთავისუფლა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები. მაგრამ ამ კავშირის გარეშე კვლავ კაპიტალისტური წესწყობილება არსებობს და ყოველ ღონისძიებას იღებს, რომ გააგრძელოს თავისი არსებობა. მრავალი აჯანყებები მუშებისა იქ ჯერ-ჯერობით და მარცხებით დასრულდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში მუშებმა შესწყვიტეს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა. არა. იქ ხელახლა მზადდება ახალი და ახალი ტალღები, რომელმაც საბოლოოდ უნდა გადაანგრიოს ბურჟუაზიული სამყაროს კედლები და აღმოფხვრას ის ძირფესვიანათ. მუშები იქ კვლავ ირაზმებიან თავის წითელ ორგანიზაციებში, კომუნისტურ პარტიაში, რევოლიუციონურ პროფკავშირებში და სხვადასხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთში ბრძოლა შრომას და კაპიტალს შორის არ დამთავრებულა, რომ ის მთელის თავის სიმწვავით გრძელდება. კაპიტალისტები ყოველი საშუალებით ცდილობენ ჩაქრონ მუშათა ეს მოძრაობა. ამ მიზნისათვის ისინი იყენებენ: ჯარს, ციხეებს, პოლიციას და სხვ. მთელი სახელმწიფო აპარატი დასავ. ევროპაში—ეს მუშათა ორგანიზაციებთან ბრძოლის აპარატია. გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვაგან ათასობით ციხეებში არიან მოთავსებული მუშები, რევოლიუციისათვის მებრძოლნი. ვის არ ახსოვს საფრანგეთის მუშების დატუსაღება პუანკარეს აგენტების მიერ, აგრეთვე გერმანიის მუშების რურში, ბერლინში და მრავალ სხვა ქალაქებში, იქაური კონტრ-რევოლიუციონერ მთავრობის მიერ. იტალიაში ხომ თითქმის ყველა რევოლიუციონერი მუშები ციხეებში სხედან მუსოლინის—ფაშისტების [illegible]—ბრძანებით. ჩვენს ამხანაგებს ციხეებსაც არ აკმარებენ. ხშირია შემთხვევები, რომ მათ მრავლათ ხვრეტენ და ამით მათი ოჯახობა უნუგეშო მდგომარეობაში ვარდება. დიდი პროცენტი ამხანაგებისა აგრეთვე დევნილია. აქედან აშკარაა, რომ რევოლიუციისათვის მებრძოლები დასავლეთში საშინელ გაჭირვებას განიცდიან. არ შეიძლებოდა ამისათვის კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს ყურადღება არ მიექციათ. სპეციალურათ ამ მიზნისათვის დაარსდა რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება. საზოგადოების წევრები მოვალენი არიან შეკრიბონ დახმარება თავის წევრთა და არა წევრთა შორის და გადაუგზავნონ ის დანიშნულებისამებრ. საზოგადოების ცენტრალური გამგეობა გაგზავნის დახმარებას იქ, სადაც ეს საჭიროა.

ჩვენში ასეთი ორგანიზაცია დღემდის არ იყო, ის ნორჩი ორგანიზაციაა. საჭიროა ის ფეხზე დავაყენოთ. პარტიულ ამხანაგების მოვალეობაა ადგილებზე და ცენტრში დააყენონ რევოლიუციისათვის მებრძოლთა მუშების დახმარების საქმე და გასწიონ შესაფერი აგიტაცია მუშებსა და გლეხებში.

ყოველი მუშა და გლეხი, რომლის გულში ოდნავ მაინც ღვივის რევოლიუციონური ნაპერწკალი, თავის მოვალეობათ გაიხდის გაუწიოს დახმარება თავის დასავლეთელ ძმებს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ახალი საქმე საქართველოში ჰპოვებს მხურვალე გამოძახილს.

კ ო—ძე.

უცხოეთი

ინგლისის ახალი ავანტიურა

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ჩვენს მკითხველებთან იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნა სპარსეთში ინგლისის იმპერიალიზმმა. საკითხს სახელმწიფოებრივი გადატრიალების შესახებ, რომელსაც ამზადებენ ინგლისელები თეირანში, ეხება თავის მეთაურში გაზ. „ზარია ვოსტოკა“ (№ 212). გაზეთი იხსენიებს ისტორიას ბრძოლისას, რომელსაც იწვევს მტაცებელი იმპერიალიზმი ახალგაზრდა სპარსეთის წინააღმდეგ და რომელიც აღწევს დღის გადამწყვეტ წერტილს.

„ჯერ კიდევ 1917 წლის ხელშეკრულების ძალით, რომელმაც დაანაწილა სპარსეთი, სპარსეთის მაზარზე ბატონობით დაინტერესებულ სახელმწიფოების გავლენის ზონებათ და 1919 წ. აგვისტოში ინგლის-სპარსეთის შეთანხმების წყალობით, რომელი ხელშეკრულებაც დადებული იყო ფარულად სპარსეთის საზოგადოების უმრავლესობის გარეშე და რომელიც იყო აწეწილ საერთაშორისო პირობების ნაყოფი, ინგლისმა ხელში ჩაიგდო სპარსეთის ნედლი მასალით და ნავთით მდიდარი რაიონები.

თავის იმპერიალისტურ პოლიტიკის წყალობით, რომელიც მდგომარეობდა სპარსეთის კოლონიზაციასა და ეკონომიურ დამონებაში, ინგლისმა მიიყვანა ეს ქვეყანა არაჩვეულებრივ სასურსათო და ფინანსიურ კრიზისებამდე.

იმ დროს, როდესაც მოსყიდული ხანები და კონსერვატორები ქეიფში ატარებდენ დროს სპარსეთის მშრომელთა ხარჯზე, 100 ათასი სპარსელი გლეხი იმშეოდა და განიცდიდა საშინელ ტანჯვას.

დემოკრატები და ნაციონალისტები სპარსეთში ინგლისის ბატონობის ხანაში, აწარმოებდენ ბრძოლას ქვეყნის განთავისუფლებისათვის უცხოეთის მტაცებელთა ბრჭყალებისაგან. ამ ბრძოლამ მოჰყვა დიდი შედეგები სპარსეთში მომხდარ მაისის ამბების პერიოდში 1920 წელს, როდესაც ძალაუფლება გადავიდა სპარსეთის ნაციონალისტებისა და დემოკრატების ლიდერის სეიდ-ზია-ედდინის ხელში. ამ მთავრობის შედეგმა ბოლო მოუღო ინგლისის ბატონობას სპარსეთში.

სეიდ-ზია-ედდინის მთავრობამ გაატარა რამდენიმე სპეციალური ეკონომიური რეფორმა, გააუქმა სპარსეთ-ინგლისის 1919 წ. შეთანხმების მთელი რიგი მუხლებისა და დააპატიმრა ის პირები, რომელთაც სპარსეთის სახელით ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას. მაგრამ სპარსეთის მშრომელთა მტრებთან შეთანხმების პოლიტიკის და სეიდ ზია-ედდინის, შახის და სამხედრო მინისტრის შორის მომხდარ კონფლიქტის წყალობით ახალმა მთავრობამ ნაადრევად შესწყვიტა თავისი არსებობა. სპარსეთის რევოლიუციონურ ისტორიაში მრავლად მოიპოვება ისეთი ფაქტები, როდესაც, ინგლისის ინტრიგების ზეგავლენით, სპარსეთის მრავალი რევოლიუციონერები, მიუხედავათ იმისა, რომ საშვალება ჰქონდათ ხელმძღვანელობა გაეწიათ სპარსეთის მასებისათვის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, ან ერთმანეთში კინკლაობდენ ან გადადიოდენ მოღალატეების მხარეზე.

საერთო ეკონომიური პირობები და გაძლიერებული ბრძოლა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის სპარსეთში დაჟინებით მოითხოვენ რეალურ ზომების გამონახვას სპარსეთის ჩაგრულ მშრომელთა სოციალურ-ეკონომიურ ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მომავალში შექმნიან ისეთ ჯანსაღ გულს, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს სპარსეთის მასების ნაციონალ რევოლიუციონურ მოძრაობას.

ანტიინგლისური მოძრაობის გაძლიერებამ სპარსეთში ამ უკანასკნელ ხანებში მეტად ჩააფიქრა ინგლისი, რომელმაც განიცადა სრული კრახი თავის პოლიტიკაში. იგი ყოველმხრივ ხელს უწყობს ფეოდალურ-მემამულეთა რეაქციას შეკრიბოს ძალები ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის მახვილის ჩასაცემად. ინგლისის ახალი გეგმის გამტარებელნი არიან ცნობილი ანგლოფილები რაზა-ხანი და ვოსუმ-ედ-დოვლე; ამ ახალი ავანტიურის გზით, რომელიც მოგვაგონებს ინგლისის პოლიტიკას სეიდ-ზია-ედდინის „კაბინეტის დაცემის“ და ინგლისის ძველი მეგობრის გავამ სალტანეს მთავრობის შედგენის პერიოდში, ინგლისელებს სურთ შეამსუბუქონ სპარსეთში მათ წინააღმდეგ შექმნილი მდგომარეობა და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრან დაწყებული ანტიინგლისური და ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობა“.

აღნიშნავს რა გაზეთი ინგლისის პოლიტიკის სრულ დამარცხებას, მას მოჰყავს რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითი ამ პოლიტიკის კრახის.

„ინგლისის საქონლის გამოეცხადა ბოიკოტი; ინგლისელი ოფიცრები დაითხოვეს სპარსეთის ჯარებში სამსახურიდან; მიუხედავათ გავამ-სალტანეს ცდებისა და ღონისძიებისა მეჯლისის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე, ინგლის-სპარსეთის შეთანხმების პროექტი ოქროს სესხის და კონცესიების შესახებ უარყოფილ იქნა; სასულიერო წოდება აუჯანყდა ინგლისელებს, რის გამოც ინგლისის ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ მიიღო ყოველგვარი რეპრესიები, არ დაერიდა მათ გადასახლებასაც წმინდა ქალაქებიდან; ინგლისის ყველა წინადადებები სპარსეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივების შესახებ, რომელიც წარადგინა ინგლისის საფინანსო მრჩეველმა მისტერ არმიტაჟ სმიტმა, სავსებით უარყოფილ იქნენ. სპარსეთის მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება სესხის და სხვა ფინანსიურ-ეკონომიურ საკითხების შესახებ ამერიკასთან, რის გამოც მისტერ არმიტაჟ სმიტმა იგრძნო უხერხული მდგომარეობა და გადასწყვიტა დაეტოვებია „არა სტუმართმოყვარე და უმადური“ სპარსეთის საზღვრები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ იმას, რომ როგორც მეჯლისს, ისე მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ეჯავრება ინგლისელები მათი „მეგობრული“ პოლიტიკით“.

როგორი იქნება შედეგი შექმნილი მდგომარეობის?

„რაც არ უნდა ეცადონ ინგლისის იმპერიალისტები, ყველა ცნობები მოწმობენ იმას, რომ სპარსეთის მშრომელები შესძლებენ ღირსეულათ გადაიტანონ ბრძოლა მათი მჩაგვრელების წინააღმდეგ და აღადგინონ სამშობლო მხარის პოლიტიკურ-ეკონომიურ დამოუკიდებლობით.

წერილები გერმანიიდან

შტრეზემანის მთავრობა ანუ ახალი ხრიკები

მსხვილ მრეწველობაში ჩაბმული ხალხი, რომელიც მსხვილ ფინანსისტებისა და მრეწველების მიერ ჩათრეული იქნა ომში მეტოქე კაპიტალისტების წინააღმდეგ, გაბედულად იბრძოდა 4 წლის განმავლობაში, ღვრიდა თავის სისხლს და უსიტყვოთ ითმენდა სიმშილს.

დიდი სოციალისტური პარტია, კაცობრიობის იმედი უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში, მოუწოდებდა მას მხნედ დაეცვა მბრძანებელი ჯალათები და ებრძოლა მეზობელ ერების შეუბრალებლად განადგურებისათვის.

საშინელი ავანტიურა დამთავრდა, სამაგიეროდ, სრული დამარცხებით და რევოლიუციით „ღვთით კურთხეული“ მონარქი იქნა განდევნილი. დიდი სოციალისტური პარტია მოუწოდებდა მაშინ გალატაკებულ დამშეულ და მოტყუებულ ხალხს არ მოეხდინა სოც. რევოლიუცია, არ მიებაძა „აღმოსავლეთის ბარბაროსთა“ დამღუპველ მაგალითისთვის. მანვე მოუძებნა ბურჟუაზიას მისი რევოლიუციით დამარცხების წინ, ჯალათი, რომელიც საჭირო იყო მისთვის წესრიგის აღსადგენათ. შემდეგ გახდა რა მმართველი პარტია, მან შექმნა „მსხვილ სამრეწველო დაწესებულებათა სოციალიზაციის კომისია“, რომელმაც დაასამარა სოციალიზაციის საქმე ისევე როგორც ათასობით რევოლიუციონერები სამი არშინი მიწის ქვეშ, ან ციხის ოთხ კედელ შუა. მრავალი წლის ეკონომიური ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოთა კაპიტალისტებს შორის, ეს ხალხი, რომელმაც უცხოეთის ჩარევის გამო ვერ მოახერხა ნამდვილი რევოლიუციის მოხდენა სიმშილობის თავიდან ასაცილებლად, ხედავს, რომ მისი ტერიტორია დაკავებულია მეზობელი იმპერიალიზმის მიერ, მას არ გააჩნია პური და მისი მოთხოვნის საპასუხოდ ბურჟუაზიულ რესპუბლიკიდან, რომელიც ემყარება სოციალისტურ პარტიაზე, ღებულობს მხოლოდ ტყვიებს...

აი გერმანიის მთელი ისტორია უკანასკნელი წლების განმავლობაში (ამას მიუმატეთ კიდევ, მეტი სისწორისათვის, პროლეტარების მოკვლა სხვადასხვა ადგილას).

მოშურმა, ღარიბმა და დამშეულმა გერმანიამ, რომელიც ისეა დამშეული, როგორც არასოდეს, ეხლახან გამოიცვალა მთავრობა.

შევიდა რა დიდ კოალიციაში, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ჩაშალა საყოველთაო გაფიცვა, ვინაიდან, თუ უფრო აქტიური და შეგნებული მასები გამოდიან და, უფრო სწორათ, რომ ვსთქვათ, უკვე გამოვიდნენ მისი რიგებიდან, მას კიდევ შერჩა მერყევ პროლეტარების მასები, რომლებზედაც სოციალ-დემოკრატიის 30 წლის ტრადიციებს კიდევ დიდი გავლენა აქვს. ამ უკანასკნელებმა სთქვეს: „შეიძლება სოციალ-დემოკრატიამ გააკეთოს რამე“ და ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ საყოველთაო რევოლიუციონური მოძრაობის (რომლის ლოღიკური შედეგი იქნებოდა აჯანყება) გაგრძელება შეუძლებელი გამხდარიყო და ერთხელ კიდევ, სოციალისტების და რეფორმისტების წყალობით, გერმანიის ბურჟუაზია გადარჩა და მას ჩაბარდა ახალი სამინისტრო. არავითარი ცვლილება:

კანცლერია შტრეზემანი, ძველი მონარქისტი, რომელიც მშვენივრათ ეთვისება სტინესის რესპუბლიკას; ვიცე-კანცლერი სოციალ-დემოკრატი, ისევე როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ზოლმანი, იუსტიციის მინისტრი—რადბრუხი, ფინანსთა მინისტრი—ჰილფერდინგი. პირობათა შორის, რომლებიც წარუდგინა სოციალ-დემოკრატიამ ბურჟუაზიულ პარტიებს მთავრობის ბლოკის შედგენის დროს, ნათქვამია „აღდგენა რეალური სამუშაო ხელფასის“, რომელიც თითქმის სრულებით ფასდაკარგულია. სწორეთ თავის საპროგრამო სიტყვაში, 14 აგვისტოს, ბატონი შტრეზემანი ნათლად და გარკვევით ეხებოდა სწორეთ ამ მუხლს. მან სთქვა, რომ გერმანია ვერ გამოვა კრიზისიდან ინტენსიური წარმოების გარეშე. ჩვენ კარგათ ვიცნობთ ძველ წარმოებას გერმანიის მუშათა კლასის ექსპლოატატორებისა და ყველა იმათი, რომლებიც მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებას. მან მიუთითა აგრეთვე იმაზე, რომ შეუძლებელია სამუშაო ხელფასის გათანასწორება ომამდე არსებულ განაკვეთებთან და ამ გათანასწორებისათვის მუშების მშვიდობიანობის დროინდელი პირობების აღება. დასასრულს, მან განაცხადა, რომ რესპუბლიკის მთავრობა სასტიკად ჩააქრობს მღელვარებას. ამ რიგად, მთელი მისი შინაური პოლიტიკა იქნება ექსპლოატაციისა და რეპრესიების პოლიტიკა. უკვე დადის ხმები, რომ 5, 6 დღის შემდეგ რკინისგზის ტარიფი დაახლოებით გაორკეცდება, რომ საფოსტო ტარიფი გამოანგარიშებული იქნება ოქროთი და გადასინჯული იქნება თვეში ორჯერ, რომ ფასები პურზე და შაქარზე გასამკეცდება, გაოთხკეცდება და გახუთკეცდება. როგორც სჩანს, საკითხი ასე სდგას: ყველაფრის ანგარიში უნდა ხდებოდეს ოქროთი, გარდა სამუშაო ხელფასისა, სახელმწიფოს და კაპიტალიზმის თვალსაზრისით ყველაფერი უნდა ედარებოდეს ომამდე არსებულ მდგომარეობას, გარდა კიდევ და კიდევ მშრომელი მასების ცხოვრების პირობებისა.

ამ რიგად, არავითარი შეღავათი სრულიად გაღარიბებულ ხალხს, რომლისთვისაც ძალა-უფლების გადასვლა მოქ. ჰილფერდინგის და კომპანიის ხელში, იქნება უკანასკნელი და ხანმოკლე ილუზია. 70 დიდ კერძო სტამბაში იბეჭდება 1, 5, 10, 20, 50, 100 მილიონიანი კუპიურები, ბაზარი ივსება ქაღალდის ფულებით და მით დღითი დღე ეცემა რეალური სამუშაო ხელფასი. მთელ რიგ ქალაქებში პროლეტარიატი ასაფლავებს თავის 70 და 80 მკვდარს უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში და სწამლობს თავის 500 დაჭრილს..

ფიქრობენ, რომ ბ. შტრეზემანი ბოლოს მოუღებს ეკონომიურ ბრძოლას რურში. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ გერმანიის მსხვილი მრეწველობა საერთო ენას ადვილათ იპოვის საფრანგეთის მსხვილ მრეწველობასთან. არსებითად ის სხვას არაფერს არ მოითხოვდა მისგან გარდა თავისი 50 პროცენტისა მომავალ საფრანგეთ-გერმანიის ტრესტში.

რევოლიუციის საფრთხის წინაშე, რომელიც გამოწვეულია მისი და აგრეთვე პუანკარეს ნაციონალური ბლოკის დაუზოგავებელი ეგოიზმით, ის მზათ არის კაპიტულიაცია მოახდინოს, ესე იგი მიიღოს მხოლოდ 48 პროც.

ჩვენ წინაშე 2 ჰიპოტეზაა: ან ახლო მომავალში მოხდება შეთანხმება ერთის მხრივ სტინესებსა, ტისენებსა კრუპპებსა, მათ დამქაშებს, შტრეზემან-ჰილფერდინგებს და, მეორე მხრით, საფრანგეთის ლითონის მრეწველთა კომიტეტებსა, დე-ვენდელს შნეიდერებს ლუშერებს და მათ რწმუნებულ პუანკარეს შორის. გერმანიის პროლეტარიატი, რომელიც ყველაზე უფრო ძლიერია და შეგნებული ევროპაში, მაგრამ ამავე დროს ყველაზე უფრო დამშეული, გაუქლეფილი და ყველაზე უფრო მოტყუებულია, დადგება საფრანგეთის იმპერიალიზმის და გერმანიის პლუტოკრატიის საზიარო ბლოკის წინაშე, რომელსაც იცავს მისი ჯარების და პოლიციის 250,000 ხიშტი და ამდენივე ფაშისტების კეტები. გერმანიის რევოლიუციის დაგვიანება, საფრანგეთ-გერმანიის ტრესტის დაარსებასთან ერთად, აუცილებლად მიიყვანს ევროპას მახლობელ იმპერიალისტურ ომამდე, რომელიც უკვე თავს იჩენს საფრანგეთ-ინგლისის „მეგობრულ“ უთანხმოებაში, ორთავე მხრივ ლამანშის გამაგრებაში და საჰაერო ფლოტის და წყალ-ქვეშა ნავების სამხედრო შეიარაღებაში.

ან და დასძლევს კაპიტალისტური რეჟიმის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც აჯახებენ რეინზე ორ ოლიგარხიას და ცენტრალური ევროპა სწრაფად გაექანება პროლეტარული რევოლიუციის გზით.

ამ მეორე ჰიპოტეზის შემთხვევაში ბ. ბ. პუანკარე, შტრეზემანი და მინისტრი ჰილფერდინგი იქნებიან მსხვერპლნი ექსპლოატატორთა საზოგადოების, რომლის გადარჩენას ცდილობენ ისინი.

ბერლინი რ. ალბერტ.

სამხედრო გადატრიალება ესპანეთში

პარიზი. 13 სექტემბერი. ესპანეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება. მოძრაობა დაიწყო ბარსელონაში და მოედო სხვა ქალაქებსაც. ბარსელონის სამხედრო გუბერნატორი, გენერალი დე-რივერა, გამოქვეყნებულ პროკლამაციაში სასტიკად ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ხელისუფლება დიდიხნით არ დარჩება სამხედრო პირების ხელში: სამხედრო პირები მას გადასცემენ სამოქალაქო წარმომადგენლებს.

„დეილი მეილ“-ის ცნობით, მთავრობა, ალბათ, გადადგება. **ახალი კომიტეტი შესდგება სამხედრო ლიდერებთან თათბირის შემდეგ.** მეფე ალფონსი სასწრაფოდ დაბრუნდა მადრიდში.

მოძრაობას მეთაურობს გენერალი დე-რივერა. ბარსელონის, მადრიდის, სევილიის და სარაგოსის გარნიზონები შეუერთდენ აჯანყებულებს. თავის მიმართვაში მეფე ალფონსისადმი **დე-რივერა არწმუნებს, რომ მოძრაობა მიმართულია მხოლოდ მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც საერთო უკმაყოფილება შექმნა თავისი პოლიტიკით მაროკოში და მოითხოვს მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას.**

დადის ხმები გარეშე საქმეთა მინისტრის დაპატიმრების შესახებ.

სამხედრო პირები ხელში იღებენ ძალაუფლებას.

პარიზი. 13 სექტემბერი. კატალონიის სხვადასხვა პროვინციებში სამხედრო პირები ხელში იღებენ ძალაუფლებას. დე-რივერა წინააღმდეგია სამხედრო ოპერაციების შეჩერების მაროკოში. აჯანყებულებმა დაიკავეს კომუნისტურ და რევოლიუციონურ ორგანიზაციების ყველა შენობები, ციხეები, ბანკები და ტელეგრაფები. მთავრობის წევრების წინააღმდეგ აღძრული იქნება სასამართლო პროცესი.

კაბინეტის გადადგომა.

ლონდონი. 15 სექტემბერი. მადრიდიდან მიღებულ ცნობით ალჰუსემასის კაბინეტი გადადგა.

ახალი კაბინეტის შედგენა.

ლონდონი. 15 სექტემბერი. ახალი კაბინეტის შედგენა მეფემ მიანდო გენერალ დე-რივერას, რომელმაც მეფესთან ტელეფონით მოლაპარაკების შემდეგ ეს წინადადება მიიღო.

მეფემ უარი სთქვა გადატრიალებაში დამნაშავე პირთა დასჯაზე.

ლონდონი. 15 სექტემბერი. მეფემ უარი განაცხადა იმ პირთა დასჯაზე, რომლებმაც გადატრიალება მოახდინეს. მადრიდში გამოცხადებულია საალყო წესები.

დირექტორია.

პარიზი. 15 სექტემბერი სამხედრო პარტიის ლიდერი გენერალ არიმო დე-რივერას შეთანხმებით მეფესთან დაარსებულ იქნა დირექტორია. დირექტორიის თავმჯდომარეთ დაინიშნა გენერალი [illegible], რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნა საიდუმლო პოლიციის უფროსი [illegible].

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის ამბები

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების გარშემო

ბავარიის მთავრობა მხარს უჭერს შტრეზემანს.

ბერლინი. 15 სექტემბერი. ბავარიის მთავრობამ და მისი კოალიციის შემადგენელმა პარტიებმა დაადგინეს ყოველგვარი საშუალებით დაუჭირონ მხარი შტრეზემანს და მის საგარეო პოლიტიკას.

პრესა მოლაპარაკების შესახებ.

ბერლინი. 15 სექტემბერი. საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების გამო „ომ ლიბრ“-ი ამბობს, რომ საფრანგეთის მთავრობა არ დაუყენებს დაბრკოლებებს შტრეზემანს, რომელიც, როგორც ჩანს საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ მიისწრაფვის. მაგრამ იმ საკითხში, რომლებზედაც აშენებულია საფრანგეთის მთავრობის მთელი პოლიტიკა, უკანასკნელი დათმობაზე არ წავა. შემდეგ გაზეთი ამბობს რომ შტრეზემანის წინადადება საექსპერტო კომისიის დაარსების შესახებ განხილული იქნება საფრანგეთის მთავრობის მიერ.

„მორნინგ პოსტ“-ის აზრით შტრეზემანი შესძლებს რურის კონფლიქტის მოგვარებას.

სოციალ-დემოკრატები სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ.

„ფორვერტსი“ ფიქრობს, რომ რურის ევაკუაციამდე გერმანელები და ფრანგები ერთად იმუშავებენ. გაზეთი შტრეზემანის წინადადებას სთვლის საკითხის გადაჭრის ერთად-ერთ საშუალებათ. საპარლამენტო წრეებში შტრეზემანის სიტყვას კიდევ უფრო სასტიკად აკრიტიკებენ, ვიდრე პრესაში.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება ოფიციალურ ხასიათს იღებს

ბერლინი. 13 სექტემბერი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად მახლობელ დღეებში ბერლინში მიემგზავრება საფრანგეთის საზოგადოებრივ საშუალებების მინისტრი ლე-ტროკე, გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად რურის საკითხის მოწესრიგების მიზნით.

საერთოდ, საფრანგეთის პრესა კმაყოფილია პოლიტიკური ევოლიუციით გერმანიაში. „ენტრანსიჟან“-ი სწერს: კანცლერის გუშინდელი სიტყვა უსათუოდ ძლიერ საინტერესოა, მაგრამ ის არ არის სრული. ყველაზე მნიშვნელოვანი მასში არის მორალური ევოლიუციის გამომჟღავნება გერმანიაში“. „ტან“-ი სწერს: „სცნობს რა რომ რურის ევაკუაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონტრიბუციის გადახდის შემდეგ, შტრეზემანი იმ დასკვნამდე უნდა მივიდეს, რომ გერმანიის მთავრობამ დაუყოვნებლივ წინადადება უნდა მისცეს რეიხსტაგს, რათა მან მხარი დაუჭიროს იმ ზომების გატარებას, რომლებიც განახორციელებენ კონტრიბუციის გადახდას. ამის ნაცვლად შტრეზემანი წინადადებას აძლევს მოკავშირეებს გახდენ აქციონერებათ იმ საზოგადოების, რომელიც უნდა განაგებდეს შემოსავალს ჯერ კიდევ განუხორციელებელ გირაოდან.

გერმანიის პრესა პუანკარეს უკანასკნელ სიტყვის შესახებ.

ბერლინი. 12 სექ. გერმანიის ოფიციალური პრესა განაგრძობს პუანკარეს მიერ დამპიერში ძეგლის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვის გარჩევას. გაზეთები ამ სიტყვას სთვლიან პირველ ნაბიჯად შეთანხმებისაკენ. „ფორვერტს“-ი აღნიშნავს, რომ პუანკარეს სიტყვა, — თუმცა იგი უცვლელად სტოვებს არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას, — შესაძლებლად ქმნის შემდეგ მოლაპარაკებას. ბირჟის წრეები კი, პირიქით, პუანკარეს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების მოწინააღმდეგეთ სთვლიან.

დღეს მოელიან შტრეზემანის გამოსვლას პუანკარეს სიტყვის საპასუხოთ.

საფრანგეთის პრესა შტრეზემანის სიტყვას შესახებ

ბერლინი. 15 სექტემბერი. „ენტრანსიჟანი“ სწერს: „საფრანგეთმა პირველათ მოისმინა ისეთი სიტყვა, როგორიც იყო შტრეზემანის უკანასკნელი სიტყვა.

ეჭვს გარეშეა, რომ მდგომარეობა შეიცვალა. თუ შტრეზემანის სიტყვას მოჰყვება მოქმედებაც, საკონტრიბუციო და რურის საკითხები დაიძრება ადგილიდან.“

„ინფორმასიონი“ სწერს: დაჭიმულ მდგომარეობის მოგვარების საათი ახლოა.

საჭიროა მხოლოთ, რომ როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის მთავრობებმა და პარლამენტებმა იმოქმედონ სრული ტაქტიკით, რომ დაწყებული ურთიერთობის განვითარება კვლავ არ დაზიანდეს.

ინგლისის აზრი.

ბერლინი. 15 სექტ. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ რომის დიპლომატიური კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პუანკარე ცდილობს დააჩქაროს პასიურ წინააღმდეგობის საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ იმავე დროს, შეინარჩუნოს რურში და რეინზე სამხედრო კონტროლი მაშინ, როდესაც შტრეზემანი უარს აცხადებს პასიურ წინააღმდეგობის საკითხის განხილვაზე მანამდე, სანამ საფრანგეთი არ უზრუნველყოფს რურის სასწრაფო ევაკუაციას.

„დეილი ქრონიკლ“-ი სწერს რომ გერმანიის კაპიტულიაცია საფრანგეთის წინაშე გამოიწვევდა შტრეზემანის მთავრობის დაუყოვნებლივ დაცემას.

გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა

შტრეზემანი გერმანიის ფინანსიურ კრიზისის შესახებ.

ბერლინი. 14 სექტ. ჟურნალისტების ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში შტრეზემანმა, სხვათა შორის სთქვა, რომ გერმანიის ფინანსიურ კრიზისის მიზეზია რურის ოკუპაცია ხელფასის დაწესების დარგში პანიკური პოლიტიკური. შტრეზემანის აზრით, გერმანიაში სამთომადნო მრეწველობის განვითარებით, გერმანიის სახალხო მეურნეობას შეუძლია ვალიუტა, რომელიც იხარჯება ინგლისიდან ნახშირის შემოტანაზე. მტკიცე ვალიუტის გამოშვების საკითხი ორი კვირის განმავლობაში გადაწყდება. მარკა არ უნდა იქნეს გაუქმებული.

ბურჟუაზია შეკავშირებული ფრონტით გამოდის.

ბერლინი. 14 სექტ. კოალიციონური პრესა თანაგრძნობით შეხვდა შტრეზემანის სიტყვას. მემარჯვენე პრესა აკრიტიკებს რა შტრეზემანის სიტყვის ფინანსიურ და პოლიტიკურ ნაწილს სავსებით ეთანხმება იმ პოზიციას, რომელიც დაიკავა შტრეზემანმა მუშათა საკითხში. ამგვარად ბურჟუაზია გაერთიანებული ფრონტით გამოდის მუშათა კლასის ექსპლოატაციის საკითხში, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს სოციალ დემოკრატიის პოზიციის სისუსტეს, რომლის მთავარი ორგანო „ფორვერტსი“ ეთანხმება შტრეზემანის მოთხოვნილებას შრომის ინტენსიფიკაციის შესახებ და ერთად ერთ პირობად მიაჩნია 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნება.

კომპარტიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება

დემონსტრაციების აკრძალვის გაუქმება.

ბერლინი 14 სექტემბერი. საქსონიის კომუნისტების მოთხოვნილება დემონსტრაციის აკრძალვის გაუქმების შესახებ, შესრულებული იქნა. გაიმართა დრეზდენის უმუშევართა დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო მოქმედების რევოლიუციონურმა კომიტეტმა. უმუშევართა დელეგაცია, დრეზდენის ობერბურგომისტრის კიულტის და უმუშევართა კავშირის საბჭოს წარმომადგენლის მეთაურობით, დაბრუნდა ბერლინიდან, სადაც მას შრომის სამინისტროში განუცხადეს, რომ უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია.

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთის პრესა კმაყოფილია შტრეზემანის სიტყვით „ომ ლიბრ“ აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობა არ შეუშლის ხელს შტრეზემანს საფრანგეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში.

ინგლისის პრესა, როგორც ჩანს, არ არის კმაყოფილი საფრანგეთ-გერმანიის უშუალო მოლაპარაკების შესაძლებლობით და აღნიშნავს, რომ შტრეზემანის და პუანკარეს პოზიციის შეთანხმება შეუძლებელი არის.

„მორალური ევოლიუცია“

პარიზი. 14 სექტემბერი. პარიზის გაზეთებს ნაადრევათ მიაჩნიათ ჯერ გამოსთქვან თავიანთი აზრი იმ აზრის შესახებ, რომელიც გაატარა თავის უკანასკნელ სიტყვაში შტრეიზემანმა.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

კუნძული კორფუ — საუკეთესო იარაღია იტალიის ხელში.

რომი. 14 სექტ. იტალიის პოლიტიკური წრეები საგონებელში ჩავარდნენ ინგლისის და ამერიკის მიერ იტალიის წინააღმდეგ მტრული პოზიციის დაკავებით კორფუს საკითხში და საფრანგეთის „მეგობრული“ განწყობილებით, რომელსაც იტალიის პოლიტიკური წრეების აზრით ძვირად დაუჯდება რურის საკითხი. პრესა აღნიშნავს, რომ კორფუ დარჩება იტალიის ხელში როგორც საწინდარი, არა მარტო საბერძნეთის, არამედ მოკავშირეების მიმართაც. ზოგიერთი გაზეთები ფიქრობენ, რომ კორფუს ხანგრძლივი ოკუპაცია ახალ გართულებებს გამოიწვევს.

ინგლისის პოზიცია.

ლონდონი. 12 სექტემ. „დეილი ტელეგრაფ“-ი იტყობინება, რომ გავრცელებული ხმები, თითქოს ინგლისი აღარ მოითხოვს კორფუს ევაკუაციის საკითხის გადაცემას ერთა ლიგისათვის, არ შეეფერება სიმართლეს. ინგლისი არასოდეს არ დაეთანხმება იმაზე, რომ კორფუს ოკუპაცია მოხდეს გაურკვეველ დრომდე.

ელჩთა კონფერენციის სხდომა გადაიდო.

პარიზი. 12 სექ. იტალიის წარმომადგენლის შუამდგომლობით, რომელსაც არ მიუღია ინსტრუქცია თავისი მთავრობისაგან, ელჩთა კონფერენციის სხდომა გადაიდო ოთხშაბათამდე.

საგამომძიებლო კომისია.

პარიზი. 12 სექ. მოკავშირეების კომისია იტალიის მისიის წევრების მოკვლის გამოსაძიებლად მიემგზავრება იანინაში ორშაბათს.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი

პეკინი. 13 სექტემბერი. პეკინის საგარეო პალატის მიერ კარახანის საპატივცემულოთ გამართულ ბანკეტზე ვანჩენ-ტინგმა განაცხადა, რომ ჩინეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ უნდა ჰგავდეს სხვა სახელმწიფოების პოლიტიკას.

ამერიკა ხელს უშლის ჩინეთ-რუსეთის ნორმალურ ურთიერთობას.

პეკინი. 13 სექტემბერი. პარიზში დაბრუნდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე გამგზავრებული ამერიკელი ელჩი შერმანი.

შერმანის მიერ ხარბინში წარმოთქმული სიტყვა აშკარად ამტკიცებს, რომ ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ხელი შეუშალონ რუსეთსა და ჩინეთს შორის ნორმალურ ურთიერთობას.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საკითხის თავის სასარგებლოთ გადაჭრის მიზნით, ამერიკა ცდილობს უკარნახოს ჩინეთს თავისი საგარეო პოლიტიკა. მაგრამ შერმანის აგიტაცია სუსტ შთაბეჭდილებას ახდენს ჩინელებზე. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის თეთრგვარდიელთა სამმართველოს იმედი აქვს, რომ ამერიკის დახმარებით იგი ხელს შეუშლის რკინის გზის რუსეთისათვის გადაცემას.

ამერიკის განზრახვა მიმართულია სხვისი უფლების წინააღმდეგ.

პეკინი. 13 სექტემბერი. გერმანის გამგზავრების გამო, „ფარ-ისტერნ. ტაიმსი“ სწერს: არავის არ შეუძლია უარყოს, რომ ამერიკის ზრახვები მიმართულია სხვისი უფლებების წინააღმდეგ“. ამერიკული გაზეთი „ნორდ ჩაინ ხერალდ“ კი უკანონოთ სთვლის ვაშინგტონის შეთანხმებას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ, რადგან რუსეთს და ჩინეთს მასზე ხელი არ მოუწერიათ.

დე-მონზის შთაბეჭდილება რუსეთის შესახებ.

პარიზი. 13 სექტემბერი. პრესაში გამოქვეყნებულია დე-მონზის წერილები მისი რუსეთში მოგზაურობის შესახებ. საერთაშორისო დეპეშათა სააგენტოს ცნობით, დე-მონზიმ მშვენიერი შთაბეჭდილება მიიღო თავის მოგზაურობიდან. მან განაცხადა, რომ საფრანგეთმა აუცილებლად უნდა იცნოს რუსეთი“.

ფიუმეს საკითხი

„დეილი მეილის“ კორესპონდენტის ცნობით კონფლიქტის საფრთხე ფიუმეს საკითხში აცილებულია.

იტალიის მთავრობამ ახალი წინადადებები წამოაყენა. ამ პირობების განხილვა დაიწყება მოკლე ხანში.

იტალიისა და სამხრეთ სლავიის მთავრობები შეთანხმდნენ უშუალო მოლაპარაკების შესახებ. ამ რიგად პუანკარეს შუამავლობის ან შვეიცარიის პრეზიდენტის არბიტრაჟის საკითხი მოიხსნა.

საფრთხე აცილებულია

ლონდონი. 15 სექტ. „დეილი მეილის“ რომის კორესპონდენტი იუწყება, რომ ფიუმეს კონფლიქტის უშუალო საფრთხე აცილებულია. იტალიის მთავრობა სრულიათ ახალის წინადადებებით გამოვიდა, რომელსაც ამ დღეებში განიხილავენ. იტალია და სამხრეთ-სლავია შეთანხმდნენ, რომ უშუალო მოლაპარაკება უფრო სასურველია. ბელგრადის მთავრობამ ხელი აიღო პუანკარესა ან შვეიცარიის მთავრობის არბიტრაჟზე.

სხვადასხვა

საფრანგეთი.

იტალიელ ფაშისტების დასაფლავება პარიზში.

პარიზი. 13 სექტემბერი. იტალიელმა ფაშისტებმა გამართეს ორი მოკლული ფაშისტების საზეიმო დაკრძალვა. გზაზე ლიონის სადგურამდე პროცესიას იცავდა პოლიცია პარიზელები დასაფლავებაზე არ ღებულობდენ მონაწილეობას. ფაშისტები იმუქრებოდენ შურისძიებით.

მემარცხენე პრესა გაკვირვებულია მით, რომ მთავრობას აკრძალული აქვს რევოლიუციონური მანიფესტაციები, ხოლო პოლიცია იცავს უცხოეთის პოლიტიკურ მანიფესტაციას, რასაც შეუძლია არეულობის გამოწვევა.

სამხრეთ-სლავია

საფინანსო-პოლიტიკური კონვენცია საფრანგეთთან.

ვენა. 13 სექტემბერი. ბელგრადის გაზეთების ცნობით, პაშიჩმა პარიზში დასდო საფინანსო-პოლიტიკური კონვენცია საფრანგეთთან.

საბერძნეთი

საბერძნეთის ტერორი ფრაკიაში.

ვენა. 13 სექტემბერი. ბულგარეთის პრესა იტყობინება ბერძნების მიერ ფრაკიის მცხოვრებთა დევნის შესახებ. სამხედრო სასამართლომ ქსანტკერში სიკვდილით დასჯა მიუსაჯა 15 მუსლიმანს და ციხეში დაპატიმრა 26 სოფიაში გამართულ ფრაკიის 300.000 ლტოლვილის ყრილობამ მიმართა ერთა ლიგას თხოვნით მიიღოს სათანადო ზომები.

პოლონეთი

პოლონეთს ახალი სესხი სჭირდება.

ვარშავა, 14 სექტემბერი. კუხარსკი გაემგზავრა ჟენევას, პარიზსა და ლონდონში იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია ახალი სესხის აღება.

მარკა კვლავ ეცემა

ვარშავა, 14 სექტემბერი. დოლარის კურსი 315,000 მარკას უდრის.

საბჭოთა კავშირში

გემების შეძენა.

მოსკოვი. 13 სექტემბერი. სახელმწიფო გემთა სამმართველომ დაადგინა შეიძინოს საზღვარგარეთ 8 ახალი გემი.

5,000,000 ფუთი პურის დამზადება.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. „ხლებოპროდუქტ“-მა ადგილობრივ დაამზადა 5.000,000 ფუთი პურეულობა. სამხრეთის მხარეს ძალიან მაღალი ღირსების ხორბალია, ჩრდილოეთის მხარეში კი თანდათან მდარდება.

500,000 ოქრო მეურნეობის აღსადგენად.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. სახელმწიფო გეგმათა სამმართველომ გადასდო 500,000 მან. (ოქროთი) ლითონის მრეწველობის აღსადგენათ.

ბურიატების ავტონომიური რესპუბლიკა.

ზემო-უდინსკი. 14 სექტემბერი. ბურიატ-მონგოლეთის მოსახლეობა სალამს უძღვნის ბურიატების ავტონომიურ რესპუბლიკის დაარსებას სხვადასხვაგან გამართულ კრებებზე რეზოლიუციებში ნათქვამია: „მხოლოდ საბჭოთა მუშურ-გლეხური მთავრობა ანთავისუფლებს მშრომელ მასას და სპობს ექსპლოატაციას ერთი ნაციისას მეორეზე.

განათლების კომისართა თათბირი

მოსკოვი. 14 სექტემბერი. საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების კომისართა თათბირმა, 16 რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მოიწონა პროექტი დებულებისა სრულიად საკავშირო კანონმდებლობის გატარების წესის შესახებ, რომელიც არ შედის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების კომპეტენციაში. ამ პროექტით გათვალისწინებულია, წინასწარი განხილვა განათლების შესახებ პროექტებისა ხსენებულ კომისარიატების მიერ.

თათბირთა მოიწონა საავტორო უფლებების დეკრეტის პროექტი და დაადგინა, რათა ყველა რესპუბლიკების სახელმწიფო გამომცემლობანი ვალდებულნი არიან სასტიკათ დაიცვან ურთი-ერთის საავტორო და საგამომცემლო უფლებანი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახელმძღვანელოების გამოცემას.

დაადგინეს განუწყვეტელი საინფორმაციო კავშირი იქონიონ სახალხო განათლების ყველა კომისარიატებმა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ლენინის სახელობის აგრონომიული მატარებელი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. გზათა სახალხო კომისარიატმა გამოფენაზე წარმოადგინა ლენინის სახელობის აგრონომიული მატარებელი, რომლის ოთხ ვაგონში მოთავსებულია მუზეუმი დიაგრამებითა და მოდელებით მევენახეობის, მესაქონლეობის მებაღეობის, სასოფლო მეურნეობის მავნეებთან ბრძოლის და სხვა დარგებიდან, მე-5 ვაგონში მოწყობილია აუდიტორია და კინემატოგრაფი. მატარებელში 8 აგრონომი მუშაობს.

სასოფლო სამეურნეო იარაღების დაჯილდოვება პრემიებით.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. მესაქონლეობის ექსპონატების პრემიებით დაჯილდოების შემდეგ, მეორე რიგში დაჯილდოვებული იქნება; სათესი, სალეწი, სათიბი, ჩალის საჭრელი, ძირის საჭრელი იარაღები, შემდეგ 35 სხვადასხვა გუთანი, 10 სეპარატორი, რძის ნაწარმოებთა ფერმა და სხვა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მუშათა პროლეტარული უნივერსიტეტი.

ბაქო. 14 სექტემბერი. ამ მოკლე ხანში ბაქოში გაიხსნება მუშათა პროლეტარული უნივერსიტეტი ოთხის განყოფილებით: ბალახანში, სურახანში, შავ ქალაქში და ბაილოვო-ბიბი-ეიბათში. უნივერსიტეტი საკუთრივ მუშებისათვის არსდება. ბაქოს პოლიტგანათლების განყოფილებას განზრახვა აქვს ამ ახალ უნივერსიტეტში გაიტაროს თავისი მოღვაწეობა, ლექციებისა და ექსკურსიების მოწყობა. წინასწარ სამზადისს უკვე შეუდგნენ. სექტემბრის გასულს უნივერსიტეტი მზად იქნება.

მუღანის არხის აღმშენებელი კომისია.

ბაქო. 14 სექტემბერი. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნულმა მუღანის არხის აღმშენებელმა კომისიამ უკვე მოიარა პეტროპავლოვსკის, მერსალინის, ყარადონლისა და პეტროვსკის კანტორები. გზადაგზა ჩერდებოდა ტრაქტორების სამუშაოებზე და სხვა მთელი საქმიანობის დაწვრილებითი რევიზიის გასაკეთებლად, კომისიამ მუღანში დასტოვა ორი ინჟინერი — ჰიდრო-ტეხნიკოსი, ყარაიაზის საცდელი მინდვრის აგრონომი, მთავარი ბუღალტერი ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსი, და ამიერ კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მთავარი ინსპექტორი.

„სპარტაკი“ მყინვარზე

სამი კვირის წინად „სპარტაკ“-მა მოაწყო იშვიათი მოგზაურობა მყინვარზე. საქართველოში პირველი შემთხვევაა, რომელიმე ორგანიზაციას მიზნად დაესახოს მისის უმაღლეს მწვერვალებზე ასვლა და მისი შესწავლა.

„სპარტაკის“ ექსკურსიას მეთაურობდა ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი ვარჯიშთავი ინჟ. გიორგი ნიკოლაძე. სულ ექსპედიცია შესდგებოდა 27 კაცისგან, რომელთაგან 9 ქალი იყო და 18 ვაჟი.

მოგზაურნი ყოველმხრივ გამაგრებული და გამზადებული გაემგზავრენ. ყაზბეგამდე მათ მოუხდათ ავტომობილით მგზავრობა.

მოხევეები ექსკურსიას ხვდებოდენ დიდი სტუმარ-მოყვარეობით განსაკუთრებით ახარებდათ ის გარემოება, რომ ქართველები ევროპიელთა მსგავსად შესდგომოდენ თავისი ქვეყნის წარმტაცი ბუნების შესწავლას.

— „რა ქვეყნის მოგზაურს არ შევხვედრივართ აქ, მაგრამ ქართველს კი არასოდესო“!

„სპარტაკელთა“ უმთავრესი მიზანი მყინვარზე ასვლა იყო. მაგრამ მოხევეების რჩევით გადაწყდა ჯერ თერგის მარჯვენა მხარეზე ამართულ მთა შანის წვერზე ასვლა.

მისი სიმაღლე 3 600 მეტრს უდრის. და სპარტაკელთა ამ მწვერვალზე ასვლა ერთგვარი გამოცდა იქნებოდა იმ მხრივ, თუ რამდენად შესწევს ამა — თუ იმ ექსკურსანტს მთაზე ასვლის

პირობები ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის

არსებულ პირობებში, როდესაც მთელი სახელმწიფოსა და ეკონომიური ორგანიზაციების ყურადღება სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისაკენ არის მიმართული, პირველ რიგში დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა უახლოესი ამოცანები არის შესასრულებელი ჩვენი მეურნეობის სხვა და სხვა დარგში. დაწყებული ინდუსტრიითა და მრეწველობით და გათავებული სასოფლო მეურნეობით, — მეურნეობის ყოველი დარგი მუშაობის პერსპექტივებს ითვალისწინებს და ცდილობს ახალ-ახალი პოზიციების დაჭერას სახელმწიფოს მეურნეობაში.

ასეთ დროს, თუ კი ოდნავ მაინც ჭეშმარიტებას შეიცავს ის დებულება, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება უფრო ადრე სასოფლო-მეურნეობის განვითარების გზით არის შესაძლებელი, ვიდრე მრეწველობისა, — ჩვენ დღიურ და ფრიად მნიშვნელოვანად უნდა მივიჩნიოთ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხი ჩვენში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური გაჯანსაღება, ისი მდგომარეობის მტკიცე საფუძველზე დაყენება და აღორძინება მხოლოდ სახალხო მეურნეობის წარმატების გზითა გვაქვს წარმოდგენილი. ჩვენი დეფიციტიანი ბიუჯეტის გამოსწორება და სავაჭრო ბალანსის აქტიურისაკენ გადახრა საკუთარი გუთნისა და ჩაქუჩის ამუშავებით არის შესაძლებელი. ამ დებულების თეორიული სისწორე და მიღება ოდნავაც ვერ უშველის საქმეს, თუ პრაქტიკული საქმიანობის სფეროში ვერ შევსძელით შესაფერი ფხისა და უნარის გამოჩენა. საკითხის სიმძიმეც სწორედ აქ არის, თორემ გაჩაღებული მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა რომ საუცხოვო საქმე არის, — ამაში სადაოც არაფერი უნდა იყოს. მაშასადამე, საკითხი მუშაობის წესებსა, საშუალებებსა და მიდგომის მხრივ სდგას.

საქართველოს მიწის ნიადაგი და კლიმატიური პირობები საუცხოვო შესაძლებლობას იძლევიან იმისათვის, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა კულტურულ-ტეხნიკურ მეცნიერულობით მოვფინოთ და დღეს დაკნინებული ჩვენი სოფელი კულტურის მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ. ასეთი ინტენსიფიკაციის საჭიროება [illegible] არა მარტო სასოფლო მეურნეობისა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის საერთო კეთილდღეობისა; ამას მოითხოვს მეზობელ სახელმწიფოებთან საქონლის წესიერი გაცვლა-გამოცვლა და ჩვენი ბაზრის დანაკლისის ანაზღაურება.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სასოფლო მეურნეობა და რა მხრივაა შესაძლებელი მისი გაუმჯობესება?

ჩვენში მუდამ მიწის სივწროვე იყო; მიწები მცირე მფლობელობად იყო დანაწილებული; მართალია, მიწების განაწილების მხრით დიდ უსამართლობას ჰქონდა ადგილი და მიწებს ისეთნი ფლობდენ, რომელთაც არავითარი კავშირი მასთან არ ჰქონდათ, მაგრამ მსხვილი მფლობელობა კი არსად შექმნილა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრას და აქაც უმნიშვნელოდ), 1917 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერა შემდეგ სურათს იძლევა მიწების განაწილებისას კომლთა შორის სივრცის მიხედვით:

კომლთა ჯგუფები მიწის სივრცეთა მიხედვით	დასავლეთის საქართ.		აღმოსავლეთი საქართ.	
	კომლთა რიცხვი	მიწის სივრცე ერთ სულზე.	კომლთა რიცხვი	მიწის სივრცე ერთ სულზე
სრულიად უმიწაწყლო	—	—	2535	—
ნახევარი დეს.	343	0 075 დეს.	3 332	0 048 დეს.
1 „	3 602	0.16 „	15 678	0.13 „
2 „	84.621	0.28 „	39.713	0.25 „
3 „	56 967	0.40 „	26 994	0 37 „
5 „	7.651	0 58 „	23.765	0.75 „
10 „	575	0.88 „	12 511	1.02 „
20 „	—	—	1.414	1.74 „
20-ზე მეტი	—	—	939	3.90 „
სულ.	153 399	0 40	131.881	0 84

დღეს ჩვენში უმთავრესი და ერთად-ერთი მფლობელი მიწისა მიწის მუშები, გლეხობა არის, რომელთაც მიწები დანაწილებული აქვთ პარცელლებათ. მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო აღწერა ნათელს ყოფს იმას, თუ რამდენად იცვალა ხასიათი მიწის მფლობელობამ და ჩვენი მშრომელი გლეხკაცობა რამდენად არის უზრუნველყოფილი ამჟამად მიწით; მანვე უნდა ნათელყოს თუ რამდენად შემცირდა ან გაიზარდა სოფლის მეურნეთა განკარგულებაში არსებული მიწის ნაჭერი; საამისო კითხვები ჩვენს სასოფლო-სამეურნეო აღწერას უკვე გათვალისწინებული აქვს (იხ. ფორმა № 1)

ამ ჟამად კი ის ითქმის, რომ ჩვენ მიწათმფლობელობის განსაკუთრებულ ხასიათს მისი დაქუცმაცება წარმოადგენს; ამ პარცელლებზე თითქმის მთელ საქართველოში უმთავრესად ხორბლისა და სიმინდის კულტურას მისდევენ. ამათ გარდა უფრო მცირე მასშტაბით ადგილი აქვს მაღალ კულტურათაც: მევენახეობას, მეთამბაქოებას და სხ. სულ კულტურული მეურნეობის ქვეშ მოქცეული არის მიწების მთელ ფონდიდან 1,295,457 დესიატინა, რომელთაგანაც 1919 — 1923 წლებში დაახლოებით საშუალოდ 600 - 700,000 დესიატინა ითესება.

ნათესების სივრცე ჩვენში თითქმის ყოველწლიურად იზრდება ათეული პროცენტებით და ზოგიერთ მაზრაში მთელი სახნავი ადგილები ითესება. ჩვენში რომ მიწების ნაყოფიერება და მათი დამუშავება შესაფერ დონეზე იყოს დაყენებული, ხსენებული სივრცე სათეს მიწებისა საშუალო მოსავლიან წლებში მაინც, არა მარტო საკუთარი თავის გამოსაკვებ სურსათს მოგვცემდა, არამედ გარდამეტსაც კი. დათესილი მიწების რაოდენობა რომ საშუალოდ 600,000 დესიატინა ვიანგარიშოთ და თითოეულ დესიატინაზე დაახლოებით 50 ფ. მოსავალი, — მთელი მოსავალი 30 მილ. ფუთს მოგვცემს; წლიური საჭიროება კი, მცხოვრებთა რიცხვი რომ 3 მილ. ავიღოთ, — 54 მილიონ ფუთს შეადგენს. ამრიგად, დეფიციტი რამოდენიმე ათეულ მილ. ფუთს უდრის, რომელსაც უნდა დაემატოს კიდევ მარცვლეულობის საჭიროება სხვა მხრივ (სათესლე, ცხოველების და ფრინველების შესანახი და სხ.). ამრიგად ჩვენ იძულებული ვხდებით, უცხოეთიდან პურის შემოტანას მივმართოთ. ასეთი მდგომარეობა ჩვენში მუდამ გაგრძელდება, თუ ჩვენ სასოფლო მეურნეობას არ მივხედეთ, არ ავწიეთ მისი ნაყოფიერება და ამით ჩვენს ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობას სტაბილიზაცია არ უყავით. დღეს ჩვენი მიწები საშუალოდ, თითო დესიატინაზე 50 ფ. ხორბლის მოსავალს იძლევიან იმ დროს, როდესაც ბელგიაში ის 128 ფუთს უდრის და დანიაში 110 ფუთს; მაგრამ თუ კი მეურნეობის ინტენსიფიკაციას მივმართავთ, მიწის ფონდს ჯეროვნად გამოვიყენებთ და მოვიხმართ, — საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც შევიძლებთ და მძიმე კულტურიდან იოლ კულტურაზე გადასვლასაც მოვახერხებთ. ამ გზით შესაძლებელი გახდება ჩვენი მიწების ნაყოფიერების 3—4 ჯერ გადიდება. როგორ არის ყოველივე ეს შესაძლებელი, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენმა მიწებმა ხორბლეულობის მოთხოვნილებაც დაგვიკმაყოფილონ და ამავე დროს შეიქმნას პირობები მაღალ კულტურულ სამეურნეო დარგებზე გადასვლისა?

ყოველი წინსვლა და გაუმჯობესება საზოგადოთ სახალხო მეურნეობაში წინ სწევს სასოფლო-მეურნეობასაც; მაგრამ რაც უფრო მაღალ კულტურულ საფეხურებისაკენ მიისწრაფვის კაცობრიობა, მით უფრო ნაკლები ეკონომიური მნიშვნელობა რჩება სასოფლო მეურნეობას. ეს უკანასკნელი მეტად განსაზღვრულ არეს იძლევა შრომისა და კაპიტალის გამოსაყენებლად, ხოლო ვაჭ-მრეწველობის განვითარება კი უფრო თავშეუკავებელი გზით მიდის. ამიტომ მოხდა, რომ ქალაქებისა და სამრეწველო რაიონების მცხოვრებთა რიცხვმა დიდათ გადააჭარბა სოფლის მცხოვრებთა რაოდენობას თანამედროვე კულტურულ სახელმწიფოებში; ასე არის დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ჩვენში, სადაც არც ვაჭრობა-მრეწველობას და არც სასოფლო მეურნეობას არ ჰქონია განვითარების გეზი თანამედროვე ევროპიულ მასშტაბით, — ეს ასე არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩვენი სასოფლო მეურნეობის იმ ტენდენციის, რომლითაც ჩვენი გლეხი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც შესამჩნევი ტემპით, თავს ანებებდა ხორბლეულობის კულტურას და მეურნეობის უფრო მაღალ კულტურაზე გადადიოდა.

განვიხილოთ და გავითვალისწინოთ საამისო ფაქტები და ტენდენციები, რომელიც ჩვენი სოფლის სინამდვილემ ჩვენს გლეხს დაუყენა თვალწინ.

1908 წლიდან 1912 წლამდე ჩვენში, დამუშავებული მიწების რაოდენობა გაორკეცდა:

1908 წელს დამუშ. იყო 300.000 დეს.
1912 წელს დამუშ. იყო 592.000 დეს.

ეს გარემოება უმთავრესად შედეგი იყო მცხოვრებთა ზრდისა და მოსავლიანობის ნაკლებობის, მიწების გამოფიტვის გამო. ამავე ხნის განმავლობაში მოხდა გადაჯგუფება ხორბლეულობის კულტურისა და 5 წლის განმავლობაში ქერის კულტურა 44 პროცენტით გაიზარდა; დათესილი იყო ქერი:

1908 წ.	53.000 დეს.
1912 წ.	98.000 დეს.

ქერის კულტურის ზრდა გამოწვეული იყო მე-20 საუკუნის პირველ წლებიდან ქერის განსაკუთრებული გამოყენების გამო მესაქონლეობაში.

მეორე მხრივ, — და რაც მთავარი არის, — ჩვენ ვამჩნევთ მეურნეობის მეტად მნიშვნელოვან ტენდენციას მაღალ კულტურაზე გადასასვლელად ჩვენი სოფელი ხელს ჰკიდებს სხვადასხვა მაღალ კულტურულ სამეურნეო დარგს და თავს ანებებს მძიმე კულტურას. აქ გამოსჭვივის ახალი ფაქტორის ამუშავება ჩვენს სასოფლო მეურნეობაში და აქედან იწყება მისი ინტენსიფიკაციის შესაძლებლობა და განვითარება. რომელია ეს დარგები, რომელთაც მიიზიდეს ჩვენი სასოფლო მეურნეობა და როგორ ხასიათს ატარებს მათი განვითარება?

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში თავისი მნიშვნელობით ერთი საუკეთესო ადგილი მეთამბაქოებას აქვს მიკუთვნებული. სოხუმის ოლქს თამბაქოს წარმოების მხრით პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო შემდეგ კი ლაგოდეხ ქიზიყის რაიონს და გურია-აჭარას.

თუ რამდენად სწრაფ განვითარების გზას ადგა ჩვენში მეთამბაქოება, ნათლად სჩანს თამბაქოს მოსავლის შემდეგ ცნობებიდან:

აფხაზეთში მეთამბაქოებს ეკავა შემდეგი სივრცე და მოწეული იყო შემდეგი რაოდენობა თამბაქოსი:

წლები	პლანტ. სივრცე დეს.	მოსავალი ფუთობით:
1904	— 4.304	— 241.386
1905	— 5.301	— 285.936
1906	— 3.186	— 183.203
1907	— 4.368	— 240.000
1908	— 4 680	— 311.045
1909	— 6 578	— 439.235
1910	— 8 457	— 544.240
1911	— 7525	— 144 770
1912	— 7.675	— 408 589
1913	— 8.037	— 442.839
1914	—13.107	— 620.270
1915	— 8.824	— 425.400
1916	— 9 084	— 480.000
1917	— 8.844	— 424 400

ლაგოდეხ ქიზიყის რაიონში მოსავალი წლიურად 120.000 ფუთს იძლეოდა, ხოლო გურია-აჭარაში კი ნორმალურ პირობებში 40 — 50 ათას ფუთს.

უდიდეს განვითარებას მეთამბაქოებამ მიაღწია ომის წინ 1910 — 1914 წლებში; 1914 წელს. მოწეულ იქნა მაქსიმალური მოსავალი - 800 429 ფუთი. ცალკე რაიონების მიხედვით ეს მოსავალი ასე ნაწილდებოდა:

სოხუმის ოლქი	— 602 676 ფუთი
სიღნაღის მაზრა	— 107 389 „
ოზურგეთის „	— 21.852 „
ბათომის ოლქი	— 68 512 „

ამრიგად, მეთამბაქოება განვითარების გზით მიდიოდა ომის წინა ხანებში; ეს განვითარება ვერ შეაჩერა მსოფლიო ომის დაწყებამ და სახალხო მეურნეობის ცუდ პირობებში ჩაყენებამაც კი. თამბაქო მუშავდებოდა ჩვენში არსებულ 7 ქარხანაში; ის საღდებოდა უმთავრესად რუსეთში და მცირე გადარჩეული ნაწილი კი ეგვიპტესა და ევროპაში იგზავნებოდა.

რევოლიუციისა და სამოქალაქო ომით გამოწვეულმა ამბებმა მეტად ცუდი გავლენა იქონიეს ამ დარგზე 1918 წლიდან საქართველო განმარტოებული დარჩა, საზღვრები დაიკეტა და ფასები პურზე საოცრად გაიზარდა. ყოველივე ამან გავლენა იქონია მეთამბაქოებაზეც, აი, როგორ სურათს წარმოადგენს ამ დროის მეთამბაქოება აფხაზეთში:

წლები	პლატ. სივრცე დეს.	მოსავალი ფუთობით
1918	1200	60.000
1919	3000	160.000
1920	2500	145.000

ასეთსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი ლაგოდეხ-ქიზიყის რაიონშიც: 1919 წელს თამბაქოს მოსავალი იქ 10.000 ფუთს არ აღემატება, გურია-აჭარაშიც ნაწილობრივ დატოვებულ იქნა ეს კულტურა და 1921 წელს აქ მხოლოდ 15.000 ფუთამდე იქნა მოწეული.

ამდენად დამღუპველი გავლენა იქონია პოლიტიკური ცხოვრების. აფორიაქებამ და სახალხო მეურნეობის არანორმალურმა პირობებმა ჩვენი სასოფლო მეურნეობის. მეტად მნიშვნელოვან დარგზე.

ჩვენს სასოფლო მეურნეობაში ფეხს იდგამდა და მაგრდებოდა ჩაის კულტურაც; ეს დარგი თუმცა ადგილობრივი მნიშვნელობის არის თავისი ხარისხით, მაგრამ საქმის რაციონალურ ჩარჩოებში ჩაყენებით, შესაძლებელი არის, რომ მას საკმაოდ დიდი როლი მიეკუთვნოს. ჩვენი სასოფლო მეურნეობის სპეციალურ კულტურათა შორის.

პრაქტიკულ ნიადაგზე ეს კულტურა გასული საუკუნის მე-80 წლებიდან იქნა დაყენებული; ამ დროს ჩაქვაში აღორძინდა პირველი პლანტაცია. მე 90 წლების დასაწყისში კ. პოპოვის მიერ გამართულ იქნა ჩაის პლანტაცია, რომელმაც მალე 105 დესიატინამდე მიაღწია; ამავე დროს საუფლისწულო უწყებამ ამ კულტურას 500 დესიატინა ადგილი დაუთმო. ამ ხნიდან უკვე დასაბამი მიეცა ჩაის კულტურის ნორმალურ განვითარებას.

დამზადებულ იქნა ჩაი (ათას გირვანქობით):

1902	წელს	66,7
1903	„	61,0
1904	„	142,0
1905	„	158,0
1906	„	124,0
1907	„	66,0 (პოპოვის ქარხანა არ მუშაობდა)
1908	„	151,0
1909	„	188
1910	„	225
1911	„	210
1912	„	268
1913	„	300
1914	„	325
1915	„	320,6

ჩაის კულტურით დიდათ დაინტერესებული იყო სოფლის მოსახლეობა; ეს ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერა მეზობლად კულტურული პლანტაციების არსებობამ და უშუალო დაკვირვებამ. წლიდან წლამდე ამ კულტურის სივრცე თანდათან იზრდებოდა. 1915 წლისათვის ჩაის პლანტაციებს 810 დესიატ. ეჭირათ. მსხვილი მეურნეობა საუფლისწულო უწყებისა და პოპოვის ფირმას ეკუთვნოდა. ამ უკანასკნელთან მეტად საყურადღებო მუშაობა სწარმოებდა პროფესორ კრასნოვის მიერ ჩვენში კარგი ჯიშის გადმონერგვისათვის; მან სცადა ჩვენში შემოეტანა ინდოეთისა და ჩინეთის საუკეთესო ღირსების ჩაის ნერგები, მაგრამ ცდის შემდეგ გამოირკვა, რომ ისინი აქ ვერ ხარობდენ. ამის შემდეგ პროფ. კრასნოვი ცდილობდა ისეთი ჯიშების შერჩევას, რომელთა გახმობა გვიან მოხდებოდა და შესაძლებელი იქნებოდა მათი ჩვენში გამოყენება; მაგრამ ეს პროფ. კრასნოვს არ დასცალდა.

ჩვენებურ ჩაის ადგილობრივი ბაზარიც კი ვერ ჰქონდა მოპოებული; ადგილობრივი ჩაის მოხმარება მთელი მომხმარების 10 პროცენტს შეადგენდა; მისი მოხმარების დაცემას ხელს უწყობდა უცხოეთის ჩაის შემოტანა ჩვენში.

ომმა და შემდეგ რევოლიუციის წლებმა ცუდათ იმოქმედეს ჩაის კულტურაზე; ამ ხანებში წარმოებული იყო ჩაი (ათას გირვანქობით):

1916	წელს	—232,2
1917	„	—192,6
1818	„	—111,1
1919	„	—198,6
1920	„	—202,1
1921	„	—155,0
1922	„	—220,0

ამჟამად ჩაის კულტურის აღსადგენათ უკვე ზომები არის მიღებული უცხოეთის ჩაის ზღუდე აქვს ამართული საბაჟოს სახით; ფუთ ჩაიზე დაწესებული არის ბაჟი 40 მან. ოქროთი გარდა სააქციზო გადასახადისა, რამაც უცხოეთის ჩაი მეტად გააძვირა. უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებული ღონისძიება, შესაძლებელს გახდის ადგილობრივი ჩაის წარმოებისათვის ისეთი პირობები შეიქმნას, რომელიც საშუალებას მისცემს მას აღორძინებისა და განვითარებისას.

გ. ძე.

(დასასრული იქნება).

უნარი, რომ შემდეგ უფრო გაბედულად ასულიყვნენ დიდებულ მყინვარზე.

9 სპარტაკელი: 5 ქალი და 4 ვაჟი იშვიათის გამბედაობით და მოხერხებით მიცოცავდნენ ჯერ მწვანით მოსილს, ხოლო შემდეგ გატიტვლებულ კლდოვან შინოს-წვერის ფერდობზე, რომლის დაქანება 70 გრადუსს უდრის.

საღამოს ექვს საათზე ყველა 9 ძმა უკვე მთის წვერზე იყვნენ.

აქ მათ თვალწინ გადაეშალათ თვალწარმტაცი სანახაობა: თვალს აბრმავებდა ჩამავალი მზის სხივები, შეფერილი კავკასიონის ქიდის თოვლით შემოსილი მწვერვალები.

აღმოსავლეთის მხრიდან მათ დასცქეროდათ ბუმბერაზი მყინვარი, რომელთანაც შედარებით შინო-წვერი პატარა გორაკათ ჩანდა.

შინოს წვერზე სპარტაკელნი, მოწმენი გახდნენ ერთი იშვიათის და ამავე დროს უმშვენიერესი სურათის, რომელსაც მეცნიერებაში ბროკენის მოვლენა ეწოდება, აღმოსავლეთის მხრიდან შინო-წვერს მოადგა ღრუბელი და შეჩერდა სპარტაკელთა პირდაპირ და ყოველმა მათგანმა დაინახა თავისივე საკუთარი ლანდი-აჩრდილი პირდაპირ ღრუბელზე გამოხატული.

საკვირველი ის არის, რომ ყოველი მაყურებელი ხედავს მხოლოდ თავის ჩრდილს და სხვისას კი ვერა.

ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ ჩამავალი მზის სხივები, რომელნიც ღრუბლის კრისტალებს შუქსა ჰფენენ და ცისარტყელასავით აფერადებენ, ვერ გადიან ღრუბელსა და მათ (სხივებს) შუა მყოფ არა გამჭვირვალე (ამ შემთხვევაში სპარტაკელთა სხეულებში) საგნებში და საგნების პირდაპირ ღრუბელზე ინაკვთება მათი ჩრდილები.

შინოს წვერზე სპარტაკელთ 4 საათი დააგვიანდათ აქ კლდეზე მათ წააწერეს გვარები. უკვე დაღამებული იყო და სპარტაკელთ ძირს უხიფათოთ ჩამოსვლა გაუჭირდებოდათ, მაგრამ მთის ძირიდან საგანგებო ელექტრონის ანთებული ფანარი მათ გზის მიმართულებას უჩვენებდა. ყველანი ძირს მშვიდობით ჩამოვიდნენ.

მეორე დღეს, სპარტაკელთა ექსკურსია ორი მოხევეს გამყოლის თანხლებით გაეშურა მყინვარისაკენ ლევან ქუშაშვილის და იაგორ კაზალიკაშვილის (გამყოლი მოხევეების) წინამძღოლობით ექსკურსიამ მთელი შემადგენლობით მოხერხებით გაიარა გვერდი სამს ერთი მეორეზე მიმყოლ „ჭალგიშკას“ (ქისტურად: მთის კლდოვანი მწვერვალებია) და რამდენიმე საათს შემდეგ უკვე ე. წ. ფიჩნის ყინულოვან მინდორზე იყო, საიდანაც უნდა დაწყებულიყო მყინვარის კონუსზე ასვლა.

ცოტაოდენი დასვენების შემდეგ ექსკურსანტები აღიჭურვნენ საჭრელ იარაღით და შეუდგნენ ყინულოვან და თოვლიან ფერდობზე ასვლას. ყველა მხნეთ და მამაცურად ავიდა „ერმოლოვის ქოხამდე“, რომელიც 3 500 მეტრის სიმაღლეზე ძევს. აქ დაბანაკდა ექსკურსია. ექსკურსანტთა უმრავლესობა უნდა დარჩენილიყო ქვევით სრულიად უბარგოთ, მხოლოდ გზის საკვლევი იარაღებით და მცირეოდენი საგზლით იაგორ კაზალიკაშვილის წინამძღოლობით შეუდგნენ მეტად სახიფათო ფერდობს, რომლის დაქანება 75 80 გრადუსს უდრის.

ამინდი არ იყო ხელსაყრელი. ქროდა ქარი, და აქა-იქ ჩანდა ღრუბლები. ასეთ დარში მეტად სახიფათოა ასვლა. წინამძღოლი სჭრიდა ყინვაზე საფეხურებს და მას უკან მიჰყვებოდნენ ექსკურსანტები. ტაროსი თანდათან უარესდებოდა, მაგრამ სპარტაკელნი შეუპოვრად წინ მიიწევდნენ. 4 800 მეტრის სიმაღლეზე ყინვა 20 გრადუსს აღწევდა, განსაცვიფრებელ მხნეობას და სიყოჩაღეს იჩენდნენ ექსკურსანტი ქალები. ისინიც ისე დაუღალავათ მუშაობდნენ და მიიკვლევდნენ გზას, როგორც ვაჟები.

გამყოლთა დაღლვის დროს წინამძღოლობას და მუშაობას მის ნაცვლად რიგ-რიგობით კისრულობენ მხნე სპარტაკელები. რამდენიმე წუთს შემდეგ ექსპედიცია უკვე მყინვარის წვერზე იყო. მთელი მყინვარი ნისლით იყო შემოსილი, და სამწუხაროთ, არაფერი არ ჩანდა. სიცივე საშინელი იყო. აქ მხოლოდ რამოდენიმე წუთს შეიძლება ყოფნა. კონუსის წვერის შუაგულში მწვერვალზე ასვლის აღსანიშნავად სპარტაკელებმა თოვლში ჩაფლეს გვარწაწერილი და დათარიღებული ნიშნები.

მწვერვალზე ასულთა შორის არის ხუთი ქალი. ბეჟანიშვილი ბარ. ჩხეიძე ლიდა, ლორთქიფანიძე ელენე, ნიკოლაიშვილი ასმათი, ტყეშელაძე მარიამ, ქალის მწვერვალზე ასვლა იშვიათია არა მარტო ჩვენში, არამედ ევროპაშიაც.

მწვერვალიდან დაბრუნებისას სპარტაკელნი წააწყდნენ მრავალ მშვენიერ სურათს; ნახეს სხვათა შორის კლდეზე მარბენალ ჯიხვების ჯოგი. გამყოლმა ცნობილმა მონადირემ იაგორ კაზალიკაშვილმა კიდეც მოკლა ერთი ჯიხვი, რომლის ხორციათაც უხვად გაუმასპინძლდა ექსკურსანტებს.

მყინვარზე ასვლის შემდეგ ექსკურსია გაეშურა კავკავისაკენ ქვეითად, ხოლო იქიდან მატარებლით ბაქოს გამოვლით დაბრუნდა ტფილისს, 9 სექტემბერს.

ვ. წ.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის ხნაკის სამაზრო კომიტეტის მუშაობა აგვისტოში

ორგანიზაციული მუშაობა. სამაზრო კომიტეტისა და რაიონული მომუშავეების მთელი ყურადღება მიქცეული იყო იქით, რომ სამაზრო კონფერენცია რაც შეიძლება საქმიანათ და ნაყოფიერად ჩატარებულიყო, ამ მიზნით მაზრის მასშტაბით გაშლილი იქმნება მოსამზადებელი მუშაობა თვით კონფერენციის მოწვევამდე შესდგა სამაზრო კონფერენციის პლენუმი. 17 აგვისტოს გაიხსნა სამაზრო კონფერენცია. კონფერენციის დახურვისას მოწყობილ იქნა ხელ-ახალი პლენუმი, სადაც გამოყოფილ იქნა სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი სამი კაცისაგან შემდგარი.

კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მუშაობა მაზრაში მიმდინარეობს სრულიად დამაკმაყოფილებლად. დისციპლინა შეიძლება ითქვას, რომ რკინისებულია. ორგანიზაციის რაოდენობა ასეთია: სულ წევრების და კანდიდატ. რიცხვი უდრის 1040, მათგან—წევრი 843, კანდ. 196 ქალი—82, ვაჟი—958. სოციალური შემადგენლობის მიხედვით: მუშა—19, გლეხი—659; მოწაფე—315, მოსამსახურე—46. რაიკომების რიცხვი უდრის 7 უჯრედებისა—74.

სააგიტსაპროპაგანდო მუშაობა. საზაფხულო პერიოდში მუშაობის საწარმოებლად სამაზრო კომიტეტს ადრე ჰქონდა გამომუშავებული გეგმა. ეს გეგმა უკლებლივ ტარდება ცხოვრებაში. გეგმის მიხედვით სწარმოებს მუშაობა პროფ-კოლექტივებში და მარქსისტულ და პოლიტიკურ წრეებში. ყოველ ასეთ წრეებს ყავს მიმაგრებული თითო სათანადოთ მომზადებული ამხანაგი. თვით სამაზრო კონფერენციამ აღნიშნა ხსენებული წრეების მუშაობის დამაკმაყოფილებლობა. რაოდენობა წრეების მაზრის მასშტაბით შემდეგია: მარქსისტული წრეები—6, პოლიტიკური 89. არსებობს აგრეთვე 4—პროფ-კოლექტივი, რომლების მოვალეობას შეადგენს პოლიტიკური და მარქსისტული წრეებში მუშაობის გეგმის გამომუშავება და საერთოთ მათი მუშაობის ხელმძღვანელობა. კავშირს ყავს თავის დრამატიული წრე.

თვის ბოლოში სწარმოებდა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის—2 სექტემბრისათვის მოსამზადებელი მუშაობა.

კომკავშირის წევრები აწარმოებენ პოლიტიკურ მუშაობას წვევამდელთა გუნდებში.

სპორტული საზოგადოება „სპარტაკი“ შეუდგა აღმზრდელობით მუშაობას, რა მიზნითაც მიწვეული იქმნა პედაგოგები, აგრონომი და ექიმი. აგვისტოში გაფრენები არ შემდგარა.

მუშაობა მოსწავლეთა შორის არ სწარმოებს, მათი საზაფხულოთ დათხოვნის გამო. სწარმოებს მუშაობა პედაგოგიურ კურსებზე.

იოკშენ.

პარტ-წრე მესამე დეპოში.

არსებობს ორი საფეხურის პარტწრე. პირველ წრეში შედიან ცოტათი მომზადებული ამხანაგები და მეორეში კი უფრო მომზადებულნი. პირველში ირიცხება 28 წევრი, მეორეში კი 32. მეცადინეობა სწარმოებს თვიური გეგმის მიხედვით. პარტწრეებში ჩატარებულია შემდეგი თემები: პირველ წრეში: ა) კაპიტალისტური წესწყობილება; ბ) საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა; მე-2-ე წრეში; ა) მე-2-ე და მე 3 ე ინტერნაციონალების ისტორია, ბ) ეკონომიური მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკებისა. დასწრება უდრის 90 პროცენტს. ხელმძღვანელები არიან სათანადოთ მომზადებულნი. საჭიროა სამეცადინო ლიტერატურა ქართულ ენაზე.

ნ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(15 სექტემბერი).

ჩერვონცები — — —	46,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	44,000
„ ჩეკები —	43,000
დოლარები ეფექტ. —	9,600
„ ჩეკები	8,900
ოსმ. ქაღ. ლირა	5.950
საბჭ. ფულის ნიშნები	19,5

მუშკოპის ფასები.

(15 სექტემბერი).

(ჩერვონეცის კურსი 45,800 ათ.)

პური 1 ხარ. გირვ 300, პური 2 ხარ. გირ.—180. შაქარი—რაფ. 2475 ათ. ფხვნილი შაქარი—2020. ბრინჯი—460 ათ. ძროხის ხორცი—950. ათ. ცხვრის ხორცი—1400 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(14 სექტემბერი.)

პური 1 ხარ.—400—პური 2 ხარ.—200—250. ნატეხი შაქარი—2,700—2750. ფხვნილი შაქარი—2100—2200. ბრინჯი—700 ათ. ძროხის ხორცი—1100 ათ ცხვრის ხორცი—1500 ათ.

ბირჟის მიწოდება

(15 სექტემბერს).

კაუსტიური სოდა. ვლადიკავკავის ფქვილი. შიხლინის მატყლი. საღებავები. მატყლი. რუსული მანუფაქტურა. აგური და თიხა.

ბირჟის მოთხოვნილება.

(15 სექტემბერს).

სახურავი რკინა ჩაი. ნარმა. ქვამარილი. ქერი. მზესუმზირის ზეთი. ცემენტი. საპონი „ბაბიტ“-ი.

ოფიციალური ტარიფები

(15 სექტემბერს)

ტაუზის ცემენტი ბოჭკა—0,85 ჩერვ., ფრანკო-სადგური ტაუზი.

ბირჟის გარეშე გარიგება

სულ ბირჟის გარეშე მოხდა 14 გარიგება. 65 6910,88 ჩერ. მანეთის რაოდენობით.

ტფილისის ბაზრის განწყობილება

(15 სექტემბერი).

პროდუქტებზე ფასები არ იცვლება. დიდი ცვლილება არ ეჩნევა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(15 სექტემბერი).

განწყობილებას ახასიათებს დიდი მოთხოვნილება ჩერვონეცზე. დანარჩენი ვალიუტის მოთხოვნილება სუსტია. ეცემა ოსმალური ქაღალდის ლირის კურსი.

სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობ. ს მუშაკთა მესამე ყრილობა

მეოთხე სხდომა.

12 სექტემბერი.

საორგანიზაციო საკითხი.

(მომხსენებელი ამხ მხითარიანი).

ყოველგვარი შეცდომების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მუშათა მასსების ინფორმაცია 3 თვეში ერთხელ კრებებზე მოხსენებების გაკეთებით, მუშაობა გეგმიანი უნდა იქნეს, რისთვისაც უნდა მუშავდებოდეს განსაზღვრული დროის სამოქმედო გეგმა. საწევრო გადასახადების თავის დროზე შემოტანას ყურადღებას უნდა აქცევდნენ ადგილკომები, ფაბკომები. ინდივიდუალური წევრობა სათანადო სიმაღლეზე უნდა იქნეს მიყვანილი.

ურთიერთ დახმარების კასა ტარდება, ნებაყოფლობით ურთ. დახმ. კასაში წევრთა რაოდენობა უნდა მიყვანილ იქნეს 100 პროც. 1924 წლის 1 იანვრამდე. საჭიროა კასის დეცენტრალიზაცია, მისი განყოფილება უნდა გაიხსნას ყოველ დიდ წარმოებასა და დაწესებულებაში (სარაიონო კასები): ადგილკომების სარევიზიო კომისიები უნდა დაეხმარონ ადგილობრივ დეფექტების გასწორებაში. საჭიროა სისტემატიური დათვალიერება კასის ძირითად უჯრედების, მისი მუშაობის რიგიანად საწარმოებლად.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სისტემატიურ ინფორმაციის საქმეს. სტატისტიკურ განყოფილებას, რადგან ციფრიოვან ცნობებს გარეშე არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

(მომხსენებელი ამხ. ლევშიცი).

ყრილობას დაესწრო სულ 54 დელეგატი, რომელთაგან ტფილისზე მოდის 37 კაცი, 17 პროვინციაზე. კომუნისტი—34, უპარტიო—17, ა. კ 3 მამაკაცი—53 და ერთი ქალი ქართველი—26, რუსი—11, სომეხი—14 და 3 სხვა ეროვნების, 8 დელეგატი—საშუალო განათლებით, 32 დელ. დაბალი განათ. 13 შინაური განათლების და ერთი წერა-კითხვის უცოდინარი. 39 მუშა, 5 მოსამსახური, 10 ინტელიგენტი.

წაკითხულ იქნა თეზისები 1) საორგანიზაციო საკითხზე, 2) სატარიფო ეკონომიურ საკითხზე, 3) საკულტურო-საგანმანათლებლო მუშაობაზე. ყველა თეზისები უცვლელად იქნა ერთხმად მიღებული.

მეხუთე სხდომა.

13 სექტემბერი

არჩევნები.

კავშირის ცენტრალურ გამგეობის არჩევნების დროს ერთხმად მიღებულ იქნა კომ-ფრაქციიდან წარმოდგენილი კანდიდატთა სია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. სერგეევი მ., იტრიევი ვ., ელენტი ს., გოგინაშვილი მ., ჰელიძე ე., თედეშვილი, თოფაძე, დუშევინი, გაგნიძე, ცარმუდოვი, გულივერდაშვილი, ბირიუკოვი, კიბლერი, გრეკოვი, ჯორბენაძე. კანდიდატებად: ამხ. ამხ. ლევშიცი, ბალდასაროვი, ყაზაროვი და წერეთელი.

სარევიზიო კომისიაში ამხ. ამხ. კარახანიანი არ., ბრეგვაძე პ. და ვარნაზოვი- კანდიდატებათ: ამხ. ამხ. ლიხელი და ჯაბაიაშვილი. არჩევნებს შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა რეზოლიუციები 1) საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) ცენტრალ. გამგეობის მოქმედების შესახებ, 3) უმუშევრობაზე.

ცენტრალურ გამგეობის მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა გამოსთქვამს, რომ გამგეობამ ნაკლები გააკეთა, ვიდრე ამას საქმის მდგომარეობა მოითხოვდა და ამის გამო მიაჩნია მთელი მისი მუშაობა არა დამაკმაყოფილებლად.

სხდომის დასასრულს ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: ყრილობა მადლობას უცხადებს მედგარი და თავდადებული მუშაობისთვის ამხ სერგეევს და ადგენს აღნიშნოს იგი წითელ დაფაზე, როგორც საუკეთესო წითელი პროფმუშაკი.

ყრილობის დახურვის წინ ამხ. სერგეევი მოუწოდებს დელეგატებს ყოველგვარ ღონისძიებით ხელი შეუწყონ მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას და შეუპოვრად ებრძოლონ უკუღმართობას, თუ ამას ადგილი ექნება.

ყრილობა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

სახელმწიფო გამომცემლობა

სახალხო განათლების კომისარიატთან შეთანხმებით სახელმწიფო გამომცემლობამ გაუხსნა მაზრების განათლების განყოფილებებს ფართო კრედიტი სახელმძღვანელოებზე და სხვა დასხვა მარქსისტულ წიგნებზე. [illegible] წიგნებით პირველ რიგში დაკმაყოფილებული შრომის სკოლები და ტეხნიკუმები — შევსებული იქნებიან ახლად გამოსულ „მარქსისტული ლიტერატურით მაზრების და სოფლების ბიბლიოთეკები. ამიერიდან ყოველი გამოცემული ქართული წიგნი გაიგზავნება რესპუბლიკის ყველა კუთხეში. ჯერ ჯერობით წიგნები მიეცა რაჭის, ლეჩხუმის, სენაკის, გორის, თელავის, ქუთაისის მაზრებს ამ მოკლე ხანში წიგნები დაეგზავნებათ სხვა მაზრებსაც.

ქ. ხაშურში სახელმწიფო გამომცემლობა შეუთანხმდა მუშათა კოოპერატივს წიგნების გავრცელების საქმეში და მასთან დასდო პირობა, რომლის თანახმად ხაშურის მუშკოპი სახელგამის წიგნებს ჰყიდის იმ ფასებში, რომელიც არის დაწესებული სახელგამის მიერ.

ქრონიკა

— **გაზ. „მოამბე“.** გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიუროს ყოველკვირეული ორგანო „მოამბე“ შემდეგი შინაარსით: მოწინავე ჩვენი ხაზი; ა. ჭ.—მარქსისტული ახალგაზრდობა; ორი „რენეგატის“ დღიურიდან—სანდრო და აკაკი; საით წავიდეთ—ვ. სიხარულიძე, და სხვ.

— **მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი.** სიღნაღის მაზრაში უკვე დაიწყო ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შეკრება.

— **სკოლის გარეშე განათლების მუზეუმი.** განზრახულია პროვინციებში პოლიტ-განათლების განყოფილებასთან გაიხსნას სკოლის გარეშე განათლების მუზეუმი, რომლის განსახორციელებლად სათანადო ორგანოებს უკვე გეგზავნათ ცირკულიარები და ინსტრუქციები.

— **პოლიტ-განათლების ასპარეზზე მომუშავეთა შესახებ.** სკოლის გარეშე განათლების სახლთან, და საკლუბო სექციების და მარქსისტული წრის მუშაობა, რომელიც დროებით შეჩერებული იყო, განახლებული იქნება 15 სექტემბრიდან. სექციების მიზანია თავი მოუყაროს და ერთმანეთს დაახლოვოს პოლიტ-განათლების ასპარეზზე მომუშავენი.

— **დახმარება უმუშევრებს.** საქ. კომუნალურ კავშირმა დაადგინა კავშირის უმუშევარ წევრებს პერიოდულად მისცეს დახმარება 15 მილიონის რაოდენობით თითოს და 5—5 მილიონი უმუშევარი ოჯახის წევრებს

— **მუშათა სახლებისათვის.** კომუნალურ მეურნეობის კავშირმა დაავალა თავის სატარიფო-საეკონომიო განყოფილებას სამეურნეო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების დადების დროს ჩხედველობაში მიიღოს ზედმეტი პროცენტები მუშათა სახლების ასაგებათ.

— **რაიონულ ტყის გამგეთა თათბირი.** ამ ჟამათ ტფილისში მიმდინარეობს რაიონულ ტყის გამგეთა თათბირი. თათბირზე საანგარიშო და ფინანსიურ საკითხების გარდა, ირჩევა საკითხები ტყის გაშენებასა მოვლა და პატრონობაზე. თათბირი რამდენიმე დღეს გასტანს.

— **მარქსიზმის საფუძვლები.** სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა გერონტი ქიქოძის მიერ თარგმნილი ი. აგოლის „მარქსიზმის საფუძვლები“.

— **ჟურნალი „კოოპერაცია“** გამოვიდა ჟურნალი „კოოპერაციის“ № 1 ლი ი. გაბილაიას რედაქტორობით, ჟურნალში მოთავსებულია წერილები: —რედაქტორისაგან, ი. გ-აია—თვითმოქმედებით, ი. გომართელი—ერის გაჯანსაღება, ე. წ.—საკურორტო კოოპერაციის გარშემო, „მწიგნობრის“ საინიციატივო ჯგუფისაგან, პროფ. შარლ ჟიდი—საქართველოს კოოპერაცია და ქართველი ქალები, და სხვა წერილები.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, სექტემბრის 16 ს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალური სამეცნიერო არქივის დარბაზში (ოლღას ქუჩა № 48) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც პროფესორი კ. კეკელიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია“. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

— **ნარკვევები თანამედროვე ტრედ-უნიონიზმის მოძრაობისაგან.** „წითელი წიგნის“ გამომცემლობამ გამოსცა ა. ჩეკინის (ვ. იაროცკი) „ნარკვევები თანამედროვე ტრედ-უნიონიზმის მოძრაობიდან“ თარგმანი ე. ყურულაშვილის რედაქციით.

— **ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ** უმუშევრობასთან შემბრძოლი კომისია მოლაპარაკებას აწარმოებს საქართველოს სატყეო განყოფილებასთან კარუხის აგარაკზე უმუშევრების სამუშაოზე გასაგზავნათ. განზრახულია სატყეო საქმეებზე გაიგზავნოს 300 უმუშევარი.

— **პურის ულუფის გადიდება.** ტფ რაიონის რკინისგზის პროფკავშირმა დაადგინა მუშა-მოსამსახურეებს პურის ულუფა გაუდიდდეს 3 გირვანქამდე და ეთხოვოს ნაკტპოს ეს დადგენილება დაჩქარებით გაატარონ ცხოვრებაში.

— **გაწმინდეს აფერისტები.** ბუღალტერთა და მოანგარიშეთა გაწმენდის დროს შრომის ბირჟამ გამორიცხა 11 ბუღალტერი, როგორც კერძო საქმის მქონენი და შავ ბირჟაზე მოვაჭრე სპეკულიანტები

— **წითელ-არმიელების კრება.** 22 სექტ. ტფილისში დანიშნულია ყველა ქართულ ჯარის წითელ-არმიელების საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნება მოხსენება ყოფ. მენშევიკთა ყრილობის შესახებ.

— **არტელების მოსაწყობათ.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა არტელების წესიერ ნიადაგზე მოსაწყობათ დაინიშნოს ინსტრუქტორი.

— **პროფტეხნიკური სასწავლებელი.** მკერავთა პროფკავშირმა დაადგინა კომსომოლებისათვის გახსნას პროფტეხნიკური სასწავლებელი, რომლის დასაარსებლად არჩეულ კომისიაში შედიან ამხ. მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, ადამიძე, გრიგორიანი და სხვა.

— **ახალგაზრდა უმუშევართა დაზღვევა.** 1 მარტიდან 11 სექტემბრამდე დაზღვეულ იქნა 2,322 მოზარდი უმუშევარი. მათ შორის 490 ქართველი, 992 სომეხი, 545 რუსი, დანარჩენი სხვა ეროვნების.

— **ამხ. სვერდლოვი ტფილისში.** ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა რუსეთის სამთომადნო მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ვ. სვერდლოვი.

— **ქალაქის წისქვილის შეკეთება.** აღმასკომმა ქალაქის წისქვილის შესაკეთებლად გადასდო 16,668,88 მან. შავი ოქროთი.

— **ტანისამოსი რკინისგზელებისათვის.** ა. კ. რ. კ. სამმართველომ გადასდო 5000 მან. შავი ოქროთი რკინისგზელებისათვის ტანისამოსის შესაძენად მოსკოვში.

— **კაკლის დამზადება.** ცენტროკავშირი შეუდგა 50.000 ფ. კაკლის დამზადებას საზღვარ-გარეთ სარეალიზაციოთ.

— **შრომის ბირჟა.** 17 სექტემბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა 563 უმუშევარი—ახლად ჩაეწერა 179. სამუშაოზე გაიგზავნა—42.

ხელოვნება

დღეს, 16 სექტემბერს, დღის 11 საათზე შესდგება ქართველ პროლეტარულ მწერალთა საერთო კრება. კრება შესდგება (სერგეევის ქ. 13 ხელოვნების სახლი).

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: რაჟდენ კალაძე, სილ. თოდრია, ნ. ზომლეთელი, სანდრო ეული, იაკინთე ლისაშვილი, პეტრე სამსონიძე, გოგიტა ციმბირელი, აგრაფინა ბერიძე, საშა ბერიძე, გიგო ხეჩუაშვილი, შურა დუდუჩავა, გ. კალანდარიშვილი, ალ. მაშაშვილი, გ. შინატეხელი, კ. ეწრელი, ანაზარდი, ლუარსამიძე, კ. ილოშვილი, ი. შრომიშვილი, ს. თალაკვაძე, დათიკო დუმბაძე, ისიდორე თალაკვაძე, სევასტი თალაკვაძე და იონა ვაკელი.

— **პროფკავშირის წევრების შვილების გაგზავნა კონსერვატორიაში.** საქ. პროფკავშირის საბჭოს დადგენილების თანახმად კომ. მეურნეობის კავშირმა დაადგინა თავის წევრების შვილები გაგზავნოს ტფ. სახ. კონსერვატორიაში.

— **სტალინის სახელობის კლუბი.** რკინისგზის სამმართველომ დაადგინა ამხ. სტალინის სახელობის კლუბის (ყოფილ ნადალადევის) გასანათებლად გადასდოს ელექტრონის საჭირო მასალები.

— **„წითელი ეშმაკები“.** ორშაბათს, 17 სექტემბერს კინო-არფასტოში პირველად დახურულ კარებში, პრესისა, ლიტერატორებისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის ნაჩვენები იქნება საცდელათ კინო-სურათი „წითელი ეშმაკები“. სურათის ჩვენება ფართო მასსებისათვის დაიწყება 25 სექტემბრიდან.

— **განათ. კომ. განკარგულებაში მყოფი კინოები.** განათლების სახ. კომისარიატის განკარგულებაში მყოფი ყველა კინო-სექციები გადაეცემა სახელმწიფო კინო-მრეწველობას.

აფერისტობა მწერლობის იარლიყით

ქართული ხელოვნების ბედს საერთოდ, და კერძოდ მწერლობისას, ხშირად ისაკუთრებდნენ მისი მტრები, რომლებსაც მწერლობასთან აერთებდათ მხოლოდ „სახელის მოხვეჭისა“ და „შემოსავლის წყაროს“ გაჩენის სურვილი. შეიძლება ეს პარადოქსი ეგონოს ვინმეს, მაგრამ ვისაც ახლო კავშირი აქვს ხელოვნებასთან, მას ეცოდინება, თუ რამდენი საქვეყნო საქმე გაკეთებულა და კეთდება „ხელოვნების მანდატით“, რომელსაც ხელოვნებაში შეჭრილი „ვიგინდარები“ თვითონვე აძლევენ თავიანთ თავს.

და მე ვამბობ, ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ დღეს ქართულ ხელოვნებას ყველა უმეცარი უსწორებს თვალს და ყურში ჰკიდებს ხელს. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს იმდენათ უყვარდა პოეზია, რომ კანონათ ჰქონდა მის წინ მუხლი მოეყარა ყოველთვის. მაგრამ დღეს პოეტის ხსენება ირონიულ ღიმილს იწვევს მხოლოდ. ამიტომ საჭიროა ქართული მწერლობა განიტვირთოს დღენაკლულ კალმოსნებისა და შემთხვევითი ელემენტებისაგან.

და სწორეთ ეს იყო ჩემი მიზანი, როცა გაზ. „მწვერვალის“ გამომცემლების აფერისტული საქმენი, ჩადენილნი მწერლობის სახელით, გამოვიტანე სააშკარაოზე, რისთვისაც აღნიშნული გაზეთის იხტიბარ გაუტეხავი მესვეურნი მაძლევენ პასუხსგებაში (იხ. „ტრიბუნ“ას № 556). მე დღემდე განგებ დავჩუმდი და მინდოდა გამეგო, თუ რამდენათ გაბედულები იყვნენ „მწვერვალის“ მესაჭენი სასამართლოს საშუალებით აღედგინათ სიმართლე და ჩემ მიერ მათი შელახული პრესტიჟი. მაგრამ თქმული არის „მტყუანს კარებამდე მიჰყევიო“ და... მწვერვალელებმაც „უღბლო გაბრძოლების“ შემდეგ იობლიანი სიჩუმე არჩიეს.

რომ მკითხველ საზოგადოებას დაუმტკიცო „მწვერვალზე“ ჩემ მიერ მოხვეული ბრალდებები, იძულებული ვარ ერთხელ კიდევ შევჩერდე ამ უნიადაგო მწერლებზე: „მწვერვალის“ გამომცემლობას მე ვაბრალებდი სახელმწიფო-საზოგადო დაწესებულებებიდან წინდაწინ განცხადებებში აღებულ ფულის გაფლანგვას (აღნიშნულ დაწესებულებებს განცხადებების ფული დაატყუეს იმ დროს, როცა „მწვერვალის“ ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო) „საღამოების“ ნებართვებით ვაჭრობას, რედაქციის სახელით სხვა და სხვა კომბინაციებს და სხ. და ამავე მიზნით, „მწვერვალის“ ტფილისში გადმოტანას.

„მწვერვალის“ გამომცემლობა“ კი (პირველი საპასუხო წერილი დაბეჭდილი იყო იმავე გაზეთში „მწვერვალის“ სარედაქციო“ კოლეგიის მოწერით) სწერს, რომ მე ვარ ცილისმწამებელი და მამოქმედებს „ჯგუფური“ ინტერესი და რომ მე წარმომადგენელი ვარ „იმ ჯგუფის მწერლების, რომლებიც არიან დრომოჭმულ, დახავსებულ ბურჟუაზიის ავადმყოფურ ზმანებათა გამომხატველნი და მათი იდეოლოგები პოეზიაში“.

„მწვერვალის“ ამ დაცვეთილ ბოდვაზე მე არაფერს ვიტყვი, რადგან მკითხველებმა იციან, ვინ არიან „რევოლიუციონერები“, მხოლოდ რაც შეეხება ვითომ მე მალაპარაკებდეს „ჯგუფური“ ინტერესი, ეს არის სრული სიყალბე და „წყალწაღებულის“ ამბავი. მე მალაპარაკებს მხოლოდ მწერლობის სიყვარული და ჩემი მიზანია მისი სახელით „მოვაჭრეებს“ მოუსპო საშუალება აკეთონ პირადი „საქმეები“.

სხვათაშორის „მწვერვალის“ სარედაქციო კოლეგია პირველ საპასუხო წერილში აცხადებდა, რომ „მწვერვალის“ ბათომიდან ტფილისში გადმოტანის მიზეზი არის რედაქტორების დ. კასრაძის და კ. კაპანელის სამსახურის გამო ტფილისში გადმოსვლა“. მოქ. კაპანელი კი, „ტრიბუნაში“ 24 აგვისტოს თარიღით აცხადებს, რომ მას „წარსულში გაზ. „მწვერვალი“-ს სარედაქციო კოლეგიაში არ მიუღია მონაწილეობა და მის ტფილისში გადმოსვლასაც არავითარი კავშირი არა აქვს „მწვერვალის“ გამომცემლობასთან“*). ესეც აფიორაა თუ არა? როგორც მახსოვს. დაახლოებით ამავე შინაარსის წერილი გადასცა ბათომის გაზ. „ბრძოლის“ რედაქციას დ. კასრაძემ, მაგრამ მოქ. კასრაძემ, ალბათ ჩიქვანაიას ხათრით, წერილი ისევ უკან დაიბრუნა. ხოლო საკითხავია, ვინ არიან „მწვერვალის“ სარედაქციო კოლეგიისა და გამომცემლობის წევრები? ვინ ექომაგება მოქ. ჩიქვანიას, ვინ იმალება „სარედაქციო“ და „გამომცემლობის“ ნიღაბით? ცხადია ბრძოლის ველზე მარტოდ დარჩენილი თვით მოქალაქე ჩიქვანაია, რომელსაც, ვიმეორებთ, არაფერი საერთო აქვს მწერლობასთან, გარდა იმისა რომ „ხერხიანობით“ გამოსცა რამდენიმე ნომერი უმხეო „მწვერვალის“.

იმავე წერილში ეს ფიქტიური „სარედაქციო კოლეგია“ იკვეხის „მწვერვალის“ სტაჟიან თანამშრომლებით, მაგრამ მე ვიცი, რომ მათ მიერ ჩამოთვლილი მწერლების მასალები უნდა დაბეჭდილიყო ჟურნალ „კანდელში“, რომლებიც, აღნიშნულ ჟურნალის შეჩერების გამო, ინახებოდა დ. კასრაძესთან, ხოლო შემდეგ სრულიად „შემთხვევით“ დაიბეჭდა „მწვერვალში“ ავტორების დაუკითხავათ.

მე ვფიქრობ ესეც ერთგვარი აფიორაა!

დასასრულ ერთხელ კიდევ ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ „მწვერვალის“ ხელმძღვანელების შესახებ უკვე გამოქვეყნებული ბრალდებები (იხ. გაზ. „კომ.“ №№ 180 და 193) შეიცავენ სრულ ჭეშმარიტებას. და თუ „მწვერვალის“ მესვეურნი გაბედავენ სასამართლოში გამოსვლას, რომელითაც კიდევ ბევრ რამეს აეხდება ფარდა, მე მზათ ვარ, მხოლოდ იმ პირობით, თუ საქმე გაირჩევა ბათომში, სადაც იყო მათი „სამოღვაწეო“ ასპარეზი.

კახთი.

---

*) ეს წერილი დაწერილი იყო, როცა წავიკითხეთ „მწვერვალის გამომცემლობის“ „ღია წერილი“ სადაც „ამხელებენ“ მოქ. კაპანელის განცხადების უსაფუძვლობას, მაგრამ მათ მტკიცებას, რომ კაპანელი ნამდვილათ იყო „მწვერვალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ეტყობა აშორიდის ხელი. კ.

რევოლუციისა და კომპარტიის ისტორიისათვის

ამხანაგებს და ყველა ძველ რევოლუციონერებს.

რევოლუციისა და საქართველოს კომპარტიის ისტორიის კომისია სცემს 1917 წლამდის ბრძოლაში დაღუპულ ძველ რევოლიუციონერთა მოკლე ბიოგრაფიების კრებულს,—„კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლიუციონერთა ალბომი“-ს სახით.

ამის შესახებ ჩვენ წინათაც ვაცხადებდით გაზ. „კომუნისტში“, „მუშაში“ და თვით ჩვენს ისტორიულ ჟურნალ „რევოლიუციის მატიანეში“, სადაც ვთხოვდით ამხანაგებს მოეწოდებიათ ცნობები ბრძოლაში დაღუპულ ყველა რევოლიუციონერების შესახებ (1917 წლამდე) მოკლე ბიოგრაფიებით.

ქვევით ჩვენ ვაცხადებთ შედარებით სრულ სიას, მეფისა და კაპიტალისტურ რეჟიმთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებისას და ვსთხოვთ კიდევ განმეორებით ამხანაგებს, ყველა ძველ რევოლიუციონერებს, ნუ დაიზარებენ და მოგვაწოდონ სასწრაფოდ მათი მოკლე ბიოგრაფიები,—ვისაც კი მოეპოვებათ ფოტოგრაფიული სურათების თანდართვით.

ს ი ა

ა

1. არაყიაშვილი იოსები;
2. არაყიაშვილი არჩილი.

ბ

3. ბოჭორიძე მიხა.

გ

4. გალდავა ფაციკ;
5. გელოვანი შაშუ;
6. გორდეზიანი აკაკი.

დ

7. დადეშქელიანი ლევანი;
8. დარჩია ლადო;
9. დვალი.

ე

10. ებრაელიძე.

ი

11. ივანიაძე სილოვანი;
12. იმნაიშვილი გერმანე;
13. ინწკირველი ვანო (სტეპკო).

კ

14. კოპალეიშვილი ალექსანდრე;
15. კალანდაძე ვანო;
16. კალანდაძე გერონტი;
17. კალანდაძე ბესარიონი;
18. კასიაშვილი კოლა;
19. კეცხოველი ლადო;
20. კალაძე მინა;
21. კალაძე გერონტი.

ლ

22. ლეჟავა პროკოფი;
23. ლომთათიძე სოლომონი;
24. ლომთათიძე პოლა;
25. ლომინაძე ელისო;
26. ლორთქიფანიძე პოლო.

მ

27. მათითაიშვილი გიგო;
28. მეგრელიშვილი იასონი;
29. მონტინი პეტრე;
30. მინტიაშვილი;
31. მარსაკოვი გიორგი;
32. მეტრეველი მ.,
33. მეგრელიძე მოსე;
34. მეტეხელი მიხეილი;
35. მეტრეველი გ.,
36. მეტრეველი ლ.

თ

37. თვარაძე ვასო.

ს

38. სტურუა რაჟდენი;
39. სტურუა ვასილი.

ტ

40. ტაბუკაშვილი;
41. ტიბელაშვილი ვასო;
42. ტოგო.

ხ

43. ხირსელი გ.

ც

44. ცინცაძე იასე.

წ

45. წულუკიძე ალექსანდრე.

ჩ

46. ჩაჩავა კოსტა გიორგის ძე;
47. ჩოდრიშვილი ზაქრო;
48. ჩიტაძე გოლა.

ჯ

49. ჯორჯაძიშვილი არსენი;
50. ჯაფარიძე არჩილი;
51. ჯუღელი სევერიანე;
52. ჯუღელი გიგა;
53. ჯინჭარაძე;
54. ჯიბლაძე სიმონი;
55. ჯიბუტი ვარდენი.

რევოლიუციისა და საქართ. კომპარტიის ისტორიის კომისიის
მდივანი: ს. თალაკვაძე.

პროვინციაში

მუშების შეფობა გლეხობაზე.

8 სექტემბერს მესამეთ გაემგზავრა თუთუნის ქარხნის „პროლეტარიატის“ მუშათა საშეფო კომისია სოფელ ყანდაურაში. კომისიასთან ერთად აგრეთვე იყვნენ ჯანმრთელობის კომისარიატის წარმომადგენელი ექიმი ამხ. ალექსან. მანიევი და მიწათმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი აგრონომი ამხ. პლატონ დანელია. ნაშუადღევის 2 საათი იყო, რომ ხსენებულ სოფელში ჩავედით. უნდა ვსთქვა, რომ რამდენადაც ჩვენი პირველ და მეორე წასვლას გულცივად და უნდობლობით უყურებდნენ გლეხები, იმდენად გულმხურვალედ და სიამოვნებით დაგვიხვდნენ მესამეთ. ეს უნდობლობა აიხსნებოდა იმით, რომ, როგორც იქ გვითხრეს, ჩვენზე წინათ ვიღაცეები ყოფილან იქ და ცარიელი დაპირების მეტი არა გაურიგებიათ რა გლეხობისათვის. მაგრამ, როდესაც ჩვენთან ერთად დაინახეს ექიმი და აგრონომი, ამით დარწმუნდნენ, რომ ჩვენ იქ საქმის გასაკეთებლად ვიყავით მისულნი. მისვლისთანავე დავიქირავეთ ცხენები ჩვენის ხარჯით, და ამხ. დანელია, ერთი ჩვენი ამხანაგი და ნოვო-დიმიტროვკის კომისარი გაემგზავრნენ იმ წყალსადენ არხის დასათვალიერებლად, რომელიც ვიღაც კერძო პირებს დაეწყვიტათ და თავიანთ საკუთარი წისქვილებისთვის გამოეყენებინათ; ეს არხის წყალი კი ეკუთვნოდა სოფელ ყანდაურას, შიბლიანს, ჯიმითს და ნოვო-დიმიტროვკას, სადაც 1500 დესეტინა მიწა ურწყავათ ხმებოდა. ამისათვის ხსენებულ სოფლის გლეხობას რამდენიმეჯერ აღუძრავთ საჩივარი, მაგრამ მენშევიკების ბატონობიდან დღევანდლამდისაც არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, რის გამოც საკმაო ზიანი მოსდიოდა როგორც ამ სოფლის 4000 მცხოვრებლებს, ისე მთავრობას; და ყველა ეს ხდებოდა იმ ორი ან სამი კერძო პირების ზეგავლენით, რომელთა სახლის კარები ყველა მოხელე და სოფლის მოსამართლე პირებისათვის ღია იყო და სუფრა გაშლილი; ასე ამბობს გლეხობა. დათვალიერების შემდეგ მართლა დამტკიცდა, რომ ეს წყალი ეკუთვნოდა ხსენებულ სოფლებს, ამიტომ დავავალა თემის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ჩიტაიას, რომ ამავე გლეხებისავე დახმარებით საჩქაროდ წყალი ისევ ძველ კალაპოტს დაუბრუნონ, რისთვისაც სოფლის გლეხობამ გადასწყვიტა, რა დროსაც კი თავმჯდომარე ჩიტაია შეატყობინებს, იმავე დღეს მთელი სოფლის გლეხობა სულ ერთად მივიდნენ და შეასრულონ ის სამუშაო, რაც კი საჭირო იქნება. შემდეგ საერთო კრება შეეხო საექიმო დახმარების საკითხს, ვინაიდან სოფლის გლეხობას ადრე ჰქონდათ ჩვენთან ნათქვამი, რომ ადგილობრივი ექიმი, ვინმე ნაზაროვი, მეტად ძვირათ აფასებდა თავის შრომას და ვერც თავის დროზე უწევდა ავადმყოფს დახმარებას, ე. ი. გლეხს უნდა ექირავნა ცხენი, მიეყვანა ექიმისათვის, რაშიაც იხდიდა დაახლოვებით ორ ფუთ პურს და ექიმისათვის კი უნდა შრომის ფასათ მიეცა ექვსი ლიტრა პური, რაც შეადგენს მათი ანგარიშით ოთხ ფუთს. მაგრამ ეს საკითხიც დაწვრილებით კრებაზე გაირჩა ექიმმა ამხ. მანიევმა და გლეხებისვე თანხმობით გადაწყდა შემდეგნაირათ: თემის აღმასკომმა უნდა შეიძინოს საკუთრად ცხენი და გადასცეს ექიმის განკარგულებაში; აგრეთვე მოგვარებულ იქნა ექიმის გასამრჯელოს საკითხიც. მესამე საკითხი შეეხებოდა კოოპერატივის დაარსებას, რაც ასე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სოფლისათვის. ამიტომ გლეხობამ თავის მხრივ აღგვითქვა, რომ ისინი არაფერს არ დაიშურებენ ამისათვის, ოღონდ კი ადგილობრივ ჩარჩ-სპეკულიანტების ბრჭყალებს ასცდნენ. ჩვენ სიტყვა მივეცით და დავარწმუნეთ, რომ შეიძლება სულ მოკლე ხანში ამ სოფელში დაარსდეს მუშათა მთლიან კოოპერატივის განყოფილება, რადგანაც ჩვენვე დავიწყეთ ამის შესახებ ლაპარაკი ვისთანაც ჯერარს, და თუ ჩვენგან დამოუკიდებულ მიზეზებისა გამო დაგვიანდება, მაშინ ურჩიეთ, რომ ვიდრე თქვენი პირნახული ჩაუვარდება ჩარჩებს, სჯობია თქვენ ყველას, ვისაც რა გაჩნია პირნახული, შეაგროვოთ ერთად და ანგარიშით გადასცეთ აღმასკომის თავმჯდომარეს და მასთან რამდენიმე, თქვენგანვე არჩეული სანდო პირები ჩვენ კომისიის წევრთან ერთად ჩაიტანენ ქალაქს და პირდაპირ კოოპერატივს გადასცემენ და სამაგიეროთ მიიღებთ თქვენ ყველა იმ საქონელს, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თქვენთვის. ეს რჩევა მოწონებული იქნა საერთო კრების მიერ და ნდობაც გამოუცხადეს ჩვენ საშეფო კომისიას. ჩვენ სასწავლებლის, სამკითხველოს და თეატრის შესახებაც გვინდოდა ზოგი გვეთქვა, მაგრამ მატარებელზე ვაგვიანდებოდა და შემდეგისათვის გადავდეთ.

მუშკორი ან. ბ—შვილი.

სოფ. ქვემო-ბოდი (გორის მაზრა)

ეს სოფელი ბუნებით მდიდარი, ღარიბია გზებით და ხიდებით. მტკვრის ორივე ნაპირებზე მდებარე სოფლები ნავებით და ბორნებით დაკავშირებიან. წყალდიდობის დროს ხშირია შემთხვევები, როცა მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. ამ მიზეზის გამო იშვიათი არ არის ადამიანთა მსხვერპლიც.

წინად ამ საქმის მოსაგვარებლად არავინ ზრუნავდა და გლეხობაც მოკლებული იყო ინიციატივას, რომ ხელი მოეკიდათ ასეთი დიდი და სასარგებლო საქმისათვის, როგორც არის ხიდის გაკეთება, გზების გაყვანა და სხვა.

მუშათა ცხოვრება

კაცური ამხ. მელითონეს —მისი წერილის გამო.

(იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 212)

თანახმად ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ წარმოდგენილ საბუთებისა ექიმი ვორობიოვი ა. წ. 1 ივლისიდან შვებულებაში იმყოფებოდა ერთი თვით. ვადის გათავების შემდეგ ექიმი ვორობიოვი სამსახურში არ გამოცხადდა, არ წარმოადგინა თავის დაგვიანების საპატიო და დასაბუთებული ახსნა განმარტება და განაგრძობდა აგარაკზე თავის კერძო პრაქტიკას. 22 დღის დაგვიანების შემდეგ ექ. ვორობიოვს გაეგზავნა კატეგორიული მოთხოვნილება — წარმოადგინოს განმარტება სამსახურში გამოუცხადებლობის შესახებ. ამის საპასუხოდ ექიმ ვორობიოვისგან ა. წ. 6 სექტემბერს მოვიდა განცხადება, სადაც ის აღნიშნავდა, რომ აგარაკზე ცუდი ამინდების გამო მისი ჯანმრთელობა არ გამოკეთდა და ადგილობრივ დამზღვევ კასის წინადადების თანახმად ის ადგილობრივად მსახურებს დროებით.

მაგრამ აგარაკზე ცუდი ამინდი და კომისარიატის უნებართოდ სხვაგან სამსახური არ იქნა მიღებული ერთი თვით დაგვიანების საპატიო მიზეზად და ექიმი ვორობიოვი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მოხსნილ იქნა თავის თანამდებობიდან.

მაგრამ, უწევს რა ანგარიშს ამხ. მელითონეების ხმას ამ საკითხის შესახებ, ჯანსახკომისარიატი ამავე დროს, იძულებულია მწუხარებით აღნიშნოს ექ. ვორობიოვის მხრივ პროფესიონალური დისციპლინის არაერთხელ აშკარად ავდება (ასევე მოიქცა ის შარშან მაგრამ ეპატია).

მიუხედავად ამისა საკითხის ყოველმხრივ გაშუქების და მუშათა მასსების მიერ საქმის უფრო ახლო გაცნობის მიზნით ჯანსახკომისარიატმა შესაძლებლად იცნო ვორობიოვის საქმის გადატანა პროფესიონალურ კავშირში. რასაც უეჭველად მოჰყვება სათანადო შედეგები.

ჯანმრთელობის კომისარიატის მონდობილებით ნიკოლაიშვილი.

ჩვენი მუშების გამოგონება.

ამას წინად ზარბაზნების დასამზადებელ საამქროში მომუშავე ხელოსნებმა ამხ. შტეინერმა, ეფიმოვმა, ბალდასაროვმა და მათმა თანამშრომელმა მუშებმა გამოიგონეს ზარბაზნების სასინჯი გამგორებელი ხელსაწყო.

ეს გამოგონება ფრიად ღირსშესანიშნავია, რადგან ხელს უწყობს სამუშაო ძალის ეკონომიურად მოხმარებას და ამავე დროს მეტად იაფად ჯდება.

ჩვეულებრივ ერთი სამდიუმიანი ზარბაზნის გაგორებას საშუალოდ სჭირია 8—10 კაცის ძალა. ამ ხელსაწყოს საშუალებით ეს მუშაობა შეუძლია შეასრულოს ერთმა კაცმა.

ხელსაწყოს გასასინჯავად და მისი ღირსების გამოსარკვევად დანიშნული იყო განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დეტალური შემოწმების შემდეგ გამოგონება დიდ ტექნიკურ მიღწევად აღიარა.

გამოგონების ღირსების გამორკვევის შემდეგ კომისიამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, გამომგონებლებისათვის მიეცათ ჯილდო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ჯილდო მხოლოდ დაპირებად რჩება და მუშებს არავინ არაფერს არ აძლევს. საჭიროა მეტი დაფასება და პატივისცემა მუშა-გამომგონებლებისადმი, რათა მათ არ დაკარგონ ხალისი და შრომის უნარი გამოგონების საქმეში.

მუშკორა მეთვალყური.

მუშკოპის გამგეობამ მეტი დახმარება უნდა გაუწიოს თავის მუშა-მოსამსახურეებს

I

მთლიან მუშათა კოოპერატივის მრავალ მუშა-მოსამსახურეთ აქვთ ამ კოოპერატივებიდან გამოტანილი ნისიად საქონელი; უმთავრესად შესამოსი ნივთები.

თვითეულს გამოტანილი აქვს საქონელი 18—35 საქ. მან. ღირებული. პირობით 4 თვის განმავლობაში ეს ვალები უნდა გამოექვითოთ ჯამაგირებიდან მუშებს, მხოლოდ ჩერვონცების კურსზე.

„ჩვენ შეღავათი გვექნებოდა გვეგონა ამ ნისიობით და ნამდვილად კი უფრო უბედურებაში ჩავიგდეთ თავი“—ო, ასე ამბობენ მუშკოპის მე-3 პურის საცხობის მუშები. და როგორც ეტყობა, დახმარება კი არა, ნამდვილი უბედურებად შეიქნა მათთვის ეს ვალი.

მართლაც დიდ გაჭირვებას განიცდიან ცოლშვილის პატრონი მუშები. ჩერვონცების კურსი დღითიდღე წარმოუდგენლად იზრდებოდა. მუშებს ჯამაგირები ეძლევათ საქონლის მანეთის მიხედვით. უკანასკნელის კურსი ვერ უსწრებს ჩერვონცების კურსს. ჯამაგირების მიცემის დროს მუშებს სწორედ ამ დღის ჩერვონცების კურსით უქვითავენ ვალს. ამ მხრით ხელფასის ზრდას წინ უსწრებს ვალის კურსის გადიდება. ცხადია, რომ მუშებისათვის ეს მძიმე ტვირთი შეიქმნა. ჩვენის აზრით, როდესაც მუშკოპმა მუშებს საქონელი ანისიავა, მხედველობაში ჰქონდა ამ მხრით მათთვის დახმარება აღმოუჩინა და თუ დღეს სამწუხაროდ ეს დახმარება მძიმე ტვირთად გარდაიქცა ამხ. მუშებზე, მუშკოპის გამგეობამ უნდა ამ ტვირთის შესამსუბუქებელი რამე საშუალება გამონახოს.

მუშკორი ჩხმელი.

რკ. პუბლიკის მთავარ საავადმყოფოს მუშებში

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

ხშირად გვხდება ხოლმე, ვწეროთ პრესაში იმ მეტად ცუდ მატერიალურ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებიან ამჟამად ხსენებულ საავადმყოფოს მუშა მოსამსახურეები.

რაშია საქმე? ნუ თუ მდგომარეობა მართლა ისე ცუდია, რომ გიხდებათ ამის შესახებ ჩივილი და უკმაყოფილების გამოთქმა?

მართლაც, აქ საქმე ცუდადაა.

მოსამსახურეთა, (განსაკუთრებით, მომვლელი ქალების) მიერ, აგვისტოს თვეში მიღებული ჯამაგირი, მოგიყვანს პირდაპირ განცვიფრებაში, იმდენად მცირე და უმნიშვნელოა ამ საშინელ სიძვირეში.

ტანსაცმელზე, განათებაზე, ბინაზე და სხვა ამგვარ მრავალ მოთხოვნილებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი ხდება.

რა საშუალებას მივმართოთ ასეთი მდგომარეობის მოსასპობად?

მე ვფიქრობ, რომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგს:

ამ საავადმყოფოში, თავისუფალ პროფესიის მოსიარულე ხალხს, აგვისტოს თვეს კურსის მიხედვით, დღიურად ხდებათ თითო მილიონი მანეთი, მუშა-მოსამსახურეებს და უღარიბეს გლეხებს კი არაფერი.

ფულს იხდიან მხოლოდ შეძლებული მოქალაქენი, და სპეკულიანტები.

შეიძლება თუ არა ამათთვის დღიური გადასახადის 1 მილიონიდან 3-დე გადიდება?

ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება. იმ დროს როცა გირვანქა პური—400 000 მანეთი ღირს, ერთი მილიონი არაფერს არ წარმოადგენს და ხსენებული „შეძლებული“ ხალხი, ორ და სამ მილიონ მანეთს ადვილად გადაიხდის.

შემდეგ: შესაძლებლად სცნობდა თუ არა ჯანსახკომი, რომ შეთანხმებაში შესულიყო დამზღვევ კასასთან და გადაეცა მისთვის ამჟამად საავადმყოფოში ქონებული საწოლი ლოგინების ნაწილი?

ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებული ზომები ამჟამად ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნება და ჯანსახსახკომს მისცემს საშუალებას მოუმატოს მუშებს ჯამაგირები.

მასთან საჭიროა საავადმყოფოს დაბალ ხარისხის მუშა-მოსამსახურეებს, როგორც ეს წინედ იყო, მიეცეთ ულუფა პურით და სადილით.

მუშკორი მახხი.

რაშია საქმე?

(საქ. მუშა გლეხთა ინსპექციის და შინ. საქმეთა კომისარიატების საყურადღებოდ).

აგერ თითქმის ორი თვე გადის, რაც ტფილისში იმყოფება ქ. ფოთის გამასწორებელ სახლის გამგე მოქ. ხუციშვილი. იგი ითვლება მივლინებაში, ვითომცა სამსახურის საქმეების გამო, მაგრამ ნამდვილად კი დასეირნობს ხან ტფილისში რუსთაველის პროსპექტზე, შემდეგ რესტორან შანზანში და ხან კი სურამში სამსახურის საქმეებზე. ნამდვილად კი როგორც ამბობენ, სურამში მას ჰყავს ცოლშვილი საგარაკოდ.

პირველად მოქ. ხუციშვილი ჩამოსულა ტფილისში ივლისის თვეში შინაგან საქმეთა კომისარიატიდან ფოთის გამასწორებელ სახლის საჭიროებისათვის სხვადასხვა [illegible] და ჯამაგირების მისაღებად.

აგვისტოს თვის განმავლობაში მას აქვს მიღებული **შინ. საქმეთა კომისარიატიდან 2.787.969.000 მან.**

მოქ. ხუციშვილს ორი თვეა, რაც მიტოვებული აქვს ფოთის გამასწორებელი სახლი, ითვლება მივლინებაში, ღებულობს როგორც [illegible] ჯამაგირს, ისე მივლინების ჯილდოს და როგორც ეტყობა გატკბილებია უსაქმოდ სეირნობა ტფილისში (თუმცა პორტფელით ხელში ყოველთვის ნახავთ რუსთაველის პროსპ.) და ფოთში დაბრუნებას და თავის სამსახურის ასრულებას აღარ ჰფიქრობს.

საჭიროა საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიძიოს თუ ვის განკარგულებით არის მივლინებული მოქ. ხუციშვილი ტფილისში, თუ რატომ არის ამდენხანს აქ, რას აკეთებს აქა, და გაამართლა თუ არა მან კანონიერ დოკუმენტებით აღებული ავანსები.

თუ გამოძიებამ დაამტკიცა მოქ. ხუციშვილის ტფილისში უსაფუძვლოდ ყოფნა, საჭიროა დაუყოვნებლივ მისი პასუხისგებაში მიცემა.

დროა გაიგონ ჩვენმა „სპეცებმა“ რომ საბჭოთა ხელისუფლება მუქთა-ხორებს არ ინახავს და მშრომელ ხალხის ფულის გაფლანგვის ნებას არავის მისცემს.

მუშკორი გარეშე.

მტვირთველ მუშებში

მტვირთველი მუშები, როგორც ეს სასურველიც იყო, უკვე გადავიდნენ რკინისგზის სამმართველოს განკარგულებაში რკინისგზელთა ყველა უფლებით და პროფკავშირების წევრებად ჩარიცხვით. ამის შემდეგ ჩვენი მუშების მდგომარეობა უნდა შეიცვალოს ყოველ მხრივ დადებითად. შრომის ექსპლოატაციას (როგორც მას ჰქონდა ადგილი ძველ „კომუნას“ და „ტრამოტის“ დროს) დღეს აქ არ უნდა ჰქონდეს არავითარი ადგილი, საქმის წარმოება და მუშების მდგომარეობა მუდამ რყევაში არ უნდა იყოს და ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვეს თუ, ვინ იქნება ამ წარმოების მუშათა პატრონი—„ხაზეინი“ უნდა იცოდნენ მუშებმა, ვისთან აქვთ მათ საქმე, რადგან მდგომარეობა სერიოზულია და 1.200 მუშის ბურთივით თამაში ყოვლად შეუძლებელია. სამმართველომ უნდა ისარგებლოს მუშა-ხელით და გაითვალისწინოს წარსული მაგალითებით და სათანადო ყურადღება მიაქციოს მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. და ჩვენი რკინისგზის მეურნეობის საქმე წავა წარმატებით და მუშებიც მადლიერნი იქნებიან.

მუშა ნიკოლოზ კობიძე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართლის მშრომელმა გლეხობამაც ჩაება საერთო საამშენებლო საქმეში. უკანასკნელი წლიწადის ნახევრის განმავლობაში გორის მაზრაში გაყვანილ იქნა რამოდენიმე სარწყავი არხი, რომელიც ნაყოფიერებს მრავალ ათას დესეტინა მიწას. ბევრგან შეკეთებულია გზები და განზრახულია ხიდების აგებაც.

მთავრობის დადგენილებით გადაწყვეტილია ს. მეტეხთან მდ. მტკვარზე ხიდის გაკეთება. საჭირო მუშაობა უკვე დაწყებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს სასარგებლო საქმე მალე დაგვირგვინდება.

9 სექტემბერს ს. ქვემო-გომში გაიმართა მიტინგი. მოხსენება გააკეთა ამხ. ვანო კვანტალიანმა, რომელმაც დამსწრე გლეხობას გასაგებ ენით განუმარტა ხიდის აშენების მნიშვნელობა; ილაპარაკა სხვა და სხვა მიმდინარე საკითხებზედაც და მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საერთო მდგომარეობის შესახებ.

მიტინგმა ერთხმად დაადგინა მეტეხის ხიდის აშენებაზე თვეში ორი დღე იმუშაოს ყველა მცხოვრებმა, ვიდრე ეს სასარგებლო საქმე არ დასრულდება, გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქნენ: გიორგი თათარაშვილი, სანდრო თათარაშვილი, გიორგი მამულაიშვილი და მიხო კაციაშვილი.

მიტინგი ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა.

სოფლებში მძვინვარებს მალარია, არ მოიპოვება არც საექიმო პუნქტი, არც აფთიაქი. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იშუამდგომლეს ჯანმრთელობის კომისარიატის წინაშე დახმარების აღმოსაჩენად.

ამხ. კუჭაიძის განკარგულებით სოფ. ქვემო-გომში უკვე გაიგზავნა ექსპედიცია.

გომელი.

„სიმართლის აღდგენა“ უპირველეს ყოვლისა

(წერილი რედაქციის მიმართ).

ჟურნალ „რევოლიუციის მატიანის“ მესამე №-ში ამხ. რუბენი შეეხო 1920 წლის საქართვ. კომპარტიის შინაურ ვითარებებს და სთქვა: „...იყო იგრეთვე საკმაო რიცხვი ისეთი ამხანაგებისა, რომელნიც .... გატაცებულნი იყვნენ ლეგალური მდგომარეობით (რ. ს. ფ. ს. რ.—სა და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულობის გამო 1920 წლის მაისში. რ. ქ.) და ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა რუსეთის იმედზე დამყარებით პარტია შესძლებდა თავის მუშაობის სრულ გაფართოვებას და რომ მენშევიკები ვეღარ გაბედავენ... (და სხვა....) ამაზე რედაქცია შენიშნავს, რომ „ლეგალ ხაზის პირველ დღეებში.. საქართველ. კომუნისტური პარტიის ჯგუფობ-იობაზე ლაპარაკი გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. ჯგუფები „ლეგალისტები“ და „არალეგალისტები“ ჩამოყალიბდნენ პრაქტიკული საქმიანობით რამდენიმე თვის შემდეგ მხოლოთ“.. (1920 წლის ოქტ.-ნოემბერში). „ეს დავა პარტიაში გაღრმავდა გამწვავდა დამოკიდებულება ამ ორ სხვადასხვა პარტიულ ხაზის მიმდევართა შორის.. „ლეგალისტების“ ჯგუფს ამ დროს მეთაურობდა.. ამხ. ამხ. მამია ორახელაშვილი და კიროვი... ხოლო „არალეგალისტებს“... ამხ. ფილიპე მახარაძე“... აქედან, როგორც ხედავთ, ამხ. რუბენი და რედაქცია ერთში შეთანხმებულნი არიან; სახელდობრ იმაში, რომ 1920 წელს „ლეგალიზაციის“ გამოცხადების შემდეგ საქ. კომპარტიაში ორი მიმდინარეობა, ორი ჯგუფი გაჩნდა და ამ ორ ჯგუფს შორის დავა „გაღრმავდა“ და „დამოკიდებულება გამწვავდა“ კიდეც. (ნახ. „მატიანეს“ მესამე №-რი)

ამიტომ ასეთი ფაქტის ცდარების გამო ახლა გამოდის ამხ. მამია და აცხადებს...საქართველოს კომპარტიაში ეს საკითხი („ლეგალური თუ არა ლეგალური ორგანიზაცია?“ რ. ქ.) არც შემდეგში ყოფილა სადაო, ყოველ შემთხვევაში **ის არც ერთხელ არ დასმულა პარტიულ წესით**“... (ნახ. „კომუნისტი“-ს № 205) დასასრულ ამავე ფაქტს ეხება („კომუნისტი“-ს მე-207 №-ში) ამხ. სიმონ ჩიხლაძე და მას „სიმართლის აღსადგენათ საჭიროთ მიაჩნია შემდეგი აღნიშნოს“: „...სწორეთ ეს საკითხი, „ლეგალური თუ არალეგალური ორგანიზაცია“, იყო ძირითადი საკითხი ორგანიზაციულ დარგში, რომელსაც ყრილობამ (1920 წლის ნოემბერში რ. ქ.) მოანდომა ორზე მეტი სხდომა...

მთავარი დამცველი „ლეგალური ორგანიზაციის“ იყვენ ამხანაგი მამია ორახელაშვილი (თუმცა ის ამ ყრილობაზე მონაწილეობას არ იღებდა) მალაქია და სანდრო“... „ასეთია ნამდვილი სიმართლეო“, ათავებს ამხ. სიმონი.

არა, ამხანაგო, არც ესაა „ნამდვილი სიმართლე“! რაში მდგომარეობს ის?

1. მხოლოთ იმაში, რომ 1920 წლ. მაისში გამართულ პირველ „თათბირზე“ პარტიის ორგანიზაციისა და მუშაობის მეთოდის შესახებ გამოითქვა ორგვარი აზრი: ერთი მომხსენებლის, ამხ. ფილიპესი, ხოლო მეორე ამხ. მამიასი. პირველი იდგა ლეგალურ და არალეგალურ შეთანხმებულ პოზიციაზე, ხოლო მეორე **მხოლოდ ლეგალურს აღიარებდა საჭიროთ, მარა განსაზღვრულ დრომდე**.

2. მხოლოთ იმაში, რომ პრაქტიკაში პარტია დაიდგა თათბირის მიერ აღიარებულ პოზიციაზე, ე. ი. ლეგალურ-არალეგალურზე, მარა ამ ორი სხვადასხვა პოზიციის მორიგება შეთანხმება ვერ მოუხერხდა, ამიტომ იგი პირობებისდაგვარად იძულებული იყო ხან სულ ლეგალურზე გადასულიყო, ხან კიდევ არა ლეგალურზე, როგორც ამას იგი საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულობის დადებამდე ჩადიოდა

3. მხოლოთ იმაში, რომ პარტია არავითარ ჯგუფებათ არ დანაწილებულა და მაშასადამე არც „ლეგალისტების“ და არც „არალეგალისტების“ მეთაურები მას არ ჰყოლია: იყო მხოლოთ პარტიულ მასაში პარტიულ „ნიზებსა“ და „ვერხებ“ შორის ატეხილი დავა „ზევიდან დანიშვნების“ გამო.

და 4. დასასრულ, თუ ამხ. მამიას მომხრეები, მალაქია და სანდრო, ნოემბრის ყრილობაზე „ლეგალურ პოზიციას“ იცავდნენ, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ის ვითომდა „არალეგალისტები“ ჩაეჩუმებიათ, რომლებიც მხოლოთ თავის გულში და ისიც სიტყვით რევოლიუციონერობდნენ და მეშარცხენეობდნენ, ხოლო საქმით კი თავისი პოზიციის დაცვას ყრილობაზედაც ვერ ბედავდნენ და არა მიტომ, რომ ისინი (მამია, მალაქია და სანდრო) თითქო არალეგალური მოქმედების წინაამღდეგნი იყვენ. პირიქით, არც ერთი არალეგალური საქმე მათი და (განსაკუთრებით მამიას) გარეშე და დამოუკიდებლათ არ გაკეთებულა.

რაჟდენ კალაძე.

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს თავმჯდომარეს ვასო არიშიძეს

მიმდინარე თვის 7-ს, ს. მ. უ. ს. მთავარ კონტროლიორ ალექსანდრე ქემხურიძესთან ბაასის დროს თქვენ მე მიწოდეთ ჯაშუში, რომელმაც, ვითომც, ვიმსხვერპლე რამდენიმე ამხანაგი. ამით თქვენ გსურდათ დაგესაბუთებიათ ჩემი დაუშვებლობა თქვენს სავაჭრო დუქნებში რაიმე ცნობის მისაღებათ, თამბაქოს ტრესტის საჭიროებისათვის და ეს მას შემდეგ, რაც მე თქვენივე განკარგულებით უკვე მიღებული მქონდა ყველა საჭირო ცნობები ერთი კვირის განმავლობაში ცხადია თქვენ არ მოგეწონათ არა ჩემი „ჯაშუშობა“ არამედ ჩემი ცნობების შეკრება, მაგრამ ამას შემდეგ გამოვარკვით ჭეშმარიტების აღსადგენათ გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში და მედიატორის დასახელებისათვის გაძლევთ 5 დღის ვადას. ჩემის მხრით ვასახელებ მედიატორათ ამხ. თენგიზ ჟღენტს თუ დანიშნულ ვადამდი თქვენი პასუხი არ მივიღე, ამით მომეცემა შემდეგი მოქმედების საშუალება.

დ. პაშტმალდჯიანცი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ორშაბათს, სექტემბრის 17-ს, დილის 10 საათზე დანიშნულია მიღება ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. განცხადების შემომტანი ამხანაგები უნდა გამოცხადნენ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის სამდივნოში, ერმოლოვის ქ. № 6,

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ე ს ს ე ნ ი.

— ორშაბათს, სექტემბრის 17 შუადღის 12 საათზე, ტფილისის კომიტეტის საგიტაციო—საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე, ტფილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილების თანახმად, დანიშნულია კომისიის თათბირი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ურთიერთობა პოლიტგანათლებისა, სახალხო განათლებისა და პროფკავშირთა კულტ-განყოფილებისა.

სავალდებულოა დასწრება კომისიის წევრებისა: ამხ. ყურულოვისა, შ. ვერდოვისა, კაჭარავასი, გურგენიძის, გ. რუხაძისა, მ. ესსენისა და თალაკვაძისა.

კომისიის წევრი ვ ა რ თ ა პ ე ტ ო ვ ი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ სამანდატო კომისიის მიერ რუსულ მუშათა ფაკულტეტზე გამოსაცდელად დაშვებული ამხანაგები, რომლებიც ვერ გამოცხადდნენ სექტემბრის 12-ს, 13-ს, 14-ს და 15-ს, უნდა გამოცხადნენ ორშაბათს, სექტემბრის 17-ს, საღამოს 4 ნახ. საათზე, ბებუთოვის ქუჩა № 28.

გამოუცხადებელი ამხანაგები მიღებულთა სიიდან ამოიშლებიან.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე

მ. ე ს ს ე ნ ი.

განცხადებები

თამბაქოს ტრესტის პრეისკურანტი

№ 21.

1923 წ. 12 სექტემბერი.

პაპიროსები კოლოფებში

მე-3-ე „ინგლისური“	10 მან	
მე-3-ე „ინგლისური“	10 „	
1-ლი „სოვეტსკიე“	9 „	
მე-2 ე „სოვეტსკიე“	9 „	
1-ლი „სოლიდნიე“	9 „	
მე-2-ე „სოვეტსკიე-პროლეტარ.“	9 „	
მე-5 ე „ხან-კეფი“	7 „	
მე 2 ე „ეგიპეტსკიე“	7 „	
მე-3-ე „დელიკატეს“	7 „	
მე-3-ე „სოვეტსკიე“	7 „	
მე 4 ე „სოვეტსკიე“ № 9	7 „	
მე-2 ე „ირის“	7 „	
მე-4 ე „№ 105“	6 მან	60 კაპ.
მე-2 ე „პრიმა“	7 „	

ქაღალდის შესახვევში

მე-4 ე „სლავა“	2 მან	20 კაპ.
მე-2-ე „ეგიპეტსკიე“	6 „	60 „
მე-3-ე „დელიკატეს“	6 „	60 „
1-ლი „ბუკეტ“	6 „	60 „
მე-2 ე „ექსტრა“	4 „	70
მე-4 ე „დორიან № 5“	4 „	70 „
მე-5 ე „როსკოში“	4 „	70 „
მე-2-ე „მარს“	4 „	
მე-2-ე „ზვეზდა“	4 „	
მე-5-ე „ზარია“	4 „	
მე-4-ე „მარს № 12“	3 „	80 „
მე-3 ე „№ 5 ხარ.“	4 „	
მე 2 ე „ზაკავკაზსკაია ფედერაცია“	4 „	60 „

თ ა მ ბ ა ქ ო

მე-5-ე „კეშ“	8 „	
მე 2-ე „№ 62 საფაროვა“	3 „	
მე 4-ე „სლონ“	3 „	10 „
მე-5 „კრიმსკი“	3 „	
მე-6-ე „ოტბორნი“	3 „	40 „
მე-3 ე „სამსონ“ მაგარ.	2 „	40 „
მე-4-ე „№ 120“	2 „	20 „
მე-5 ე „№ 108“	2 „	20 „
მე-3-ე „საერო“	2 „	30 „
მე 5 ე „შირაკ“	2 „	20 „
მე 2 ე „ნაროდნი № 110“	2 „	20 „
მე-4-ე „ნაროდნი“	2 „	
მე-5 ე „ნაროდნი“	2 „	
მე-3-ე „საგანგებო“	2 „	20 „
1-ლი „საგანგებო“	2 „	20 „
მე-6-ე „საგანგებო“	2 „	20 „
მე 6 ე „სახუნ“	2 „	
პირველი „შირაკ ნაროდნი“	2 „	
„25 ოქტომბ.“ ყუთით 1,000 კოლოფი	16 „	70 „

კრ. 614 3—1.

თამბტრესტი

მოითხოვეთ პაპიროსები: „ამიერ-კავკასიის ფედერაცია“

ЗАКАВКАССКАЯ ФЕДЕРАЦИЯ

ხელმისაწვდომი ფასები
კარგი გემო, არომატი

613 3 1.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან

საქართველოში სასამართლოს დაწესებულებათა გარდაქმნის გამო ა. წ. 16 სექტემბრიდან ქ. ტფილისში იწყებს მოქმედებას ნაცვლად გაუქმებულ აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალისა და სახალხო მოსამართლეთა საბჭოსი, აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლო. ოლქის სასამართლო მოთავსებულია სასამართლოს ქუჩა № 32.

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს

615 1—1 თავმჯდომარე კაჭარავა.

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის

გამტარებელი კომისია

ამით აცხადებს, რომ:

1. თანახმად ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისრის დადგენილებისა ა. წ. 4 სექტემბრის თარიღით სრულიად საქართველოს დამცველთა კოლეგია და მისი პრეზიდიუმი მიმდინარე 20 სექტემბრიდან გაუქმებულია;
2. ხსენებული კომისია დღეის რიცხვიდან იღებს განცხადებებს კოლეგის წევრად ჩარიცხულ მსურველთაგან;
3. განცხადებაში უნდა იქნეს აღნიშნული ცნობები როგორც სწავლა-განათლების, ისე სახელმწიფო დაწესებულებებსა და პროფესიანალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და სხვა ნამსახურობის შესახებ;
4. კომისიის მისამართი: ტფილისი—სასამართლო დაწესებულებათა შენობა, სასამართლოს ქუჩა № 32 ოლქის სასამ. საერთო კანცელარია.

616 1—1. კომისია.

ს ა ხ ლ ი

ყველა მოხერხებულობით და თავისუფალი ბინით, ვისაც სურს საჩქაროთ და ხელსაყრელ პირობებში იყიდოს, ან გაყიდოს, მიმართოს მამადავითის ქუჩაზე სახლი № 3, ბინა 2, რუსთაველის პროსპექტის გვერდით. დილის 11—2 და სღ. 5—7 საათამდე.

1208—1—1.

საჯარო ვაჭრობა

საქართველოს საბჭ. სოც. რესპ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი მოუწოდებს მსურველებს მიიღონ მონაწილეობა წერილობით საჯარო ვაჭრობაში ა. წ. 29 სექტემბერს დილის 12 საათზე ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ტფილისის საავადმყოფოსათვის **300—350 კუბ. საჟ. შეშის მისაწოდებლად.**

განცხადება უნდა წარმოდგენილ იქნას დახურულ კონვერტებში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამეურნეო განყოფილების კანცელარიაში (ევანგულოვის ქ. 12), სადაც შეიძლება ცნობების მიღება იჯარის პირობების შესახებ ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად, მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ 10 ჩერვონეცი.

აღნიშნულ იჯარის გაცემის დროს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც უპასუხებენ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ინტერესებს.

3—1 617.

რ. ს. ფ. ს. რ. ს. მ. უ. ს.

სრულიად-რუსეთის სახელმწიფოებრივი გაერთიანება

„გლავშვეიმაშინა“

ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ ის აწარმოებს

ტფილისში, რუსთაველის პროსპ. № 9.

საკერავი მანქანების, მისი ნაწილების, ნემსების, მანქანის ზეთის, ძაფების და სხვა. ხელსაწყო აპარატების გაყიდვას, აგრეთვე ღებულობს შეკეთებისათვის ყველა სისტემის საკერავ მანქანებს და ახდენს მექანიკურ შეკეთებას. 609 1—1.

სასწავლო სეზონისათვის

რ. ს. ფ. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობის სავაჭრო სექტორის ამიერ-კავკასიის განყოფილება

(რუსთაველის პროსპექტი № 16, ტელ. 19-02)

✱✱✱ ჰყიდის ✱✱✱

სახელმძღვანელოებს

ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე

და

სასწავლო ნივთებს

გამომცემლობის ფასებში

განათლების კომისარიატის ორგანოებს, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და წიგნის მაღაზიებს

სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები

დაეთმობათ შეღავათიან ფასებში კრედიტი

[illegible] ძველ ჩერვონცების ანგარიშით

მოითხოვეთ უფასოთ წიგნების პროსპექტი 589 3—3

საქციონერო საზოგადოების

„ზაკუტილსირიოს“

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 სექტემბერს, დილის 12 საათზე დანიშნულია

წერილობითი საჯარო ვაჭრობა

ცხვრის ნაწლავების (ნედლი დამარილებულის)

400.000 მორგვის წლიწადში, ყოველ თვიურად პარტიობით 25—35 ათასი ცალის მოსაწოდებლად.

ჩაბარება ფრანკო—ბაქო და ტფილისი.

იმ პირებმა, რომელნიც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, არა უგვიანეს 25 სექტემბრის დილის 12 საათისა უნდა გამოგზავნონ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტებში „ზაკუტილსირიოს“ საქციონერო საზოგადოების გამგეობის სახელზე ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. 5 შემდეგი ზედწარწერით: „ცხვრის ნაწლავების 400 000 მორგვის მისაწოდებლად დანიშნულ საჯარო ვაჭრობისათვის“. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს:

1. ქვითარი ხაზინაში მისაწოდებელ ნაწლავების ღირებულების 5 პროც. გირაოს შეტანის შესახებ; გირაო უძრავი ქონების სახით არ მიიღება.
2. ხელწერილი იმის შესახებ, რომ მიწოდების დამტკიცების და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეტანილი გირაო რჩება საქციონერო საზოგადოების სალაროში.
3. პირადობის მოწმობა საჯარო ვაჭრობაში მონაწილისა.

იმ პირის გირაო, რომლის წინადადება მიღებული იქნება, რჩება დეპოზიტში და ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს მას დაემატება მთელი მისაწოდებელ ნაწლავების ღირებულების 10 პროც.

განცხადების შემომტანს უნდა ჰქონდეს გადახდილი დაწესებული საღერბო გადასახადი.

ფასები უნდა იქნას აღნიშნული ჩერვონცებში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილის 2 საათამდე, ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქ. № 5. ბაქოში—სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილებაში, ბარიატინის ქუჩაზე.

603 3—2

განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფი

კურსები ბუღალტერიისა

და საკომერციო მეცნიერებისა.

ტ. მ. ფ ი ლ ო ი ა ნ ი ს ა

გაიხსნა ახალი განყოფილება. მიღება ყოველდღე. ტფილისი, პლეხანოვის პრ. 24

588 5—5

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

[illegible] სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]

[illegible] ტფილისი, ვორონცოვის ქ. № 20. (501—[illegible]—18)

დავკარგე ღირსებითი მოწმობა, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროფესორის თანაშემწის უფლების შესახებ № 558, ილია პავლეს ძე ქუთათელაძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1207 1

დავკარგე შრომის სკოლის ატესტატი № 4220 და მეტრიკული ამონაწერი ვალი ალექსანდრეს ძე ზაქარიაძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1202 1—1.

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი № 580 დომენტი დოჩვირის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ 1206 1—1.

დავკარგე პასპორტი გიორგი პავლეს ძე თედიაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1205 1—1.

არათირ შიაშია ჩიკა. უნდა ითქვა | პარტიაში დარჩენილებმა | ропа над бездной“). | არ დაუშვებ ისეთ